საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 აგვისტო, 2015 წელი.

№150 (7795)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გალეშილი და გადარეული

ვაიდეპუტატი კარბელაშვილი

ნაციონალთა უტიფრობის სარკეა

როგორც ჭირს ვერ დამალავ, რამდენიც უნდა მალო, ისე ვერც შენს ბუნებას შეინიღბავ, ერთ არამშვენიერ დღეს მაინც გამომჟღავნდები, რაცა ხარ და ვინცა ხარ. მართალია, ამ მხრივ ნაციონალებმა, როგორც ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე პარტიამ, თვლა არა აქვს, უკვე იმდენჯერ გამოიმჟღავნა სამარცხვინოდ ლაფდასხმული თავი, მაგრამ რარიგადაც ამ დღეებში ეგრეთ წოდებული ვაიდეპუტატი გიორგი კარბელაშვილი ვიხილეთ, გალეშილ-გავეშებული, კიდევ ერთხელ სათვალმჩენოდ დავინახეთ, რა ყოველგვარ სინდის-ნამუსზე ხელაღებული ხალხი გვიზის უმცირესობის სახით ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში.

იმის მაგივრად, რომ თავისი უხამსი საქციელისთვის კარბელაშვილს სახალხოდ მოეხადა ბოდიში ან სულაც კაცობის ქუდი მოეხადა (თუ საერთოდ ასეთი ქუდი ეხურა აქამდე) და ამ ერთხელ მაინც თავადვე ვაუკაცურად გაეხადა კანონმდებლის მანტია, მან, გამსკდარმა და გალექებულმა, თავად ხომ უსირცხვილოდ გაიხადა და გატიტვლდა, ბოდიში, მაგრამ თავისდაუნებურად საქვეყნოდ „ჩახადა“ და გააშიშვლა ხალხის თვალში ისედაც ერთხელ და სამუდამოდ „ჩახდილი“ და გაშიშვლებული ნაციონალური პარტიაც.

და იმის მაგივრად, რომ თავიანთი პარტიის წევრის ამ უხამსობის, უწმაწურობისა და უშვერობისთვის ნაცთა პარტიას მაინც მოებოდიშებინა, პირიქით, დღემდე ათასგვარ დანაშაულებში პასუხუგებელმა, მაგრამ მაინც რატომღაც სპიკერმა გია ბარამიძემ, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ ძაღლები უწოდა წესრიგის სამართლიანად დამცველ პოლიციელებს, რომელთაც ვითომ ადამიანის სახე დაუკარგა ახალმა ხელისუფლებამ.

ყოველივე ამან, როგორც ჩანს, ძალიან ააღელვა ჩვენი საზოგადოება, ხალხი. ამიტომ არის, რომ ამ დღეებში რედაქციაში ტელეფონის ზარი არ წყდება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე აღშფოთებული მოქალაქის აზრს გაგაცნობთ.

მოთმინების ფიალა აივსო!

პირდაპირ მივმართავთ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, გეყოფათ, ბატონო დავით, ამდენი კოჭის გორება თავაშვებული ნაციონალების მიმართ. გიორგი კარბელაშვილი კანონმდებელი კი არა, ხულიგანი, კანონის დამრღვევია, რომლის ადგილი ნამდვილად არ არის პარლამენტში. ხალხს მოთმინების ფიალა აგვევსო. თქვენგან უფრო მეტ პრინციპულ ნაბიჯებს ველოდებით.

გიორგი მჟედლიშვილი,
პედაგოგი, სიღნაღი.

დემოკრატია სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა არ არის

ნუთუ ეს დღემდე ვერ გაუგია ჩვენს ახალ ხელისუფლებას, პირადად მე ძალიან არ მომწონს „ოცნების“ მეტისმეტი პასიურობა, ან იქნებ სულაც შიში ნაციონალების წინაშე. თუ მართლა სუვერენული ქვეყანა ვართ, რატომ ვცხოვრობთ სხვისი აშკარად არასწორი კარნახით?

დავით კვესიტაძე,
ომის ვეტერანი.

ამ დეპუტატის თავხედობაში დიდი ბოროტება იმალება

კარბელაშვილი ბევრის თვალში ნამდვილი ხულიგანია, რომელმაც კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი პოლიციელების შეურაცხყოფისთვის.

გაკვირვებულები ვართ აგრეთვე დეპუტატ-სპიკერ გია ბარამიძის თავგადებული გამოსარჩლების გამო. ეგ თქვენ გაათავხედეთ, ხელისუფლებას მივმართავ, რომ დღემდე არ აგებინეთ პასუხი აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტისთვის.

თამარ ჯაჭვლიანი,
ექიმი

დროა, გადამჭრელად იმოქმედოთ!

მეტის მოთმენა ნამდვილად აღარ შეიძლება. ველარ გაგვიგია, რამდენი ხელისუფლება ჰყავს დღეს საქართველოს.

ნუთუ ასე ძნელია ნაციონალების ყოველგვარ ზღვარს გადასული უტიფრობის შეზღუდვა? ეს დემოკრატია არ არის, მეგობრებო, ეს უკვე აშკარა ბრძოლაა არსებული ხელისუფლების დასამხობად. ტელევიზიები დღეს, ფაქტობრივად, ნაციონალების ხელშია. ეგენი პირდაპირ იმუქრებიან, პირდაპირ შეტევაზე გადმოდიან თქვენ კი ამ დროს მთვლემარე მდგომარეობაში ხართ.

თენგიზ დოჭვირი,
ტაქსის მძღოლი.

ეს ამბავი პრინციპულობის მიჯნად უნდა იქცეს

კარბელაშვილის თავგასულობა და ის უტიფრობა, რაც ამ სამარცხვინო ვაიკანონმდებლის ხულიგნობას მოჰყვა ბარამიძის, გაბაშვილის, ჭიაბერაშვილისა და სხვა ნაციონალთა მხრიდან, არავითარ შემთხვევაში უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

ის, რაც კარბელაშვილმა ჩაიდინა, ამის პატიება მართლა ჩვენი საზოგადოების უნიათობა და ინდიფერენტულობა იქნება.

ქეთევან კიკნაძე,
ფილოლოგი

◎ დღის ამოჩაზურიდან

როდის იყიდება მართლმსაჯულება?

— როცა ევროპის სასამართლოებმა თუ ეგრეთ წოდებულმა ინტერპოლმა საქართველოში პატიმრობამისჯილი სააკაშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და ახალაია, მიუხედავად ჩვენი პროკურატურის არაერთი კატეგორიული მოთხოვნისა, საქართველოს არ გადმოცეს, ერთი ძველი ევროპულივე სიბრძნე გამახსენდა: თუ მოსამართლეს ნაყიდი აქვს თავისი მოსამართლეობა, ის, როგორც კი საშუალება მიეცემა, აუცილებლად გაყიდის მართლმსაჯულებასო.

ევროპაში გადახვეწილი დამნაშავე ნაციონალების „ევროპულმა გამართლებამ“ მე პირადად რატომღაც სწორედ ეს გაყიდული მართლმსაჯულება გამახსენა...

იასონ მოდრეკილაძე,
ევროპიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქე



არავინ იცის, სად იყო ზურაბ ჭვანია...

დიდი მატჩის წინ

ირაკლი ღარიბაშვილი მიშელ პლატინის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი UEFA-ს პრეზიდენტს მიშელ პლატინის შეხვდა. გაფართოებული ფორმატის შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. მხარეებმა UEFA-ს სუპერთასის მატჩთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს და მასშტაბური სპორტული ღონისძიებების მასპინძლობისთვის გაწეული სამუშაოები შეაფასეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა თბილისში UEFA-ს სუპერთასის მატჩის გამართვის მნიშვნელობას.

ამასთან, მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამოითქვა იმედი, რომ საქართველოსა და UEFA-ს შორის მომავალი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

„პრეზიდენტმა პლატინიმ, როგორც ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა, ძალიან კარგად იცის, როდის გააკეთოს სწორი ჩაწოდება შესაბამის დროს, ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა, რომ ბურთი ახლა საქართველოს ჩააწოდეთ, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიშელ პლატინის და სუპერთასის მატჩის სტუმრებს, რომელთა პატივსაცემად ოფიციალური ვახშამი გაიმართა.

პრემიერს ეამაყება, რომ საქართველო, მოდერნიზებული სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურითა და სტუმართმოყვარეობით, სპორტული ღონისძიებებისთვის თანდათან სულ უფრო მიმზიდველი ხდება.

სუპერთასის მატჩის მასპინძლობაზე გაწეული ძალისხმევისთვის UEFA-ს პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა.

პატივი მიაგეს შინდისის გმირებს

გუშინ ხალხმრავლობა იყო შინდისში. 2008 წლის 11 აგვისტოს დაღუპულ ჯარისკაცებს მათი ახლობლები, ხელისუფლების წარმომადგენლები და ადგილობრივი მცხოვრებლები პატივს მიაგებდნენ.

შინდისის მემორიალთან მდებარე ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრეამ წირვა-ლოცვა აღავლინა, და მემორიალთან მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეპიზოდი სწორედ შინდისს და 11 აგვისტოს უკავშირდება. შვიდი წლის წინათ, რუსეთის მოტომსროლელი ბატალიონის ასეულთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულის 17 ჯარისკაცი დაიღუპა. დაღუპულთა ოჯახის წევრები ყოველ 11 აგვისტოს ჩადიან სოფელ შინდისში.

გარდაცვლილთა ახლობლების გარდა, შინდისში იმყოფებოდნენ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები.

პარლამენტის დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, ასევე „შინდიდის გმირების“ პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ედმონდ მინაშვილმა მიმართეს საზოგადოებას, სხვადასხვა მუნიციპალიტეტს, ბიზნესმენებს, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ შინდისის გმირების მემორიალის ტერიტორიაზე მონუმენტის მშენებლობაში. ბრინჯაოს მონუმენტის ჩამოსხმა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, თუმცა, უსახსრობის გამო ამ დრომდე ვერ დასრულდა. მონუმენტის ავტორის ნუგზარ ჭავჭავაძის განცხადებით, სამუშაოს ნაწილი უკვე დასრულებულია, თუმცა, საჭირო ფინანსების არ ქონის გამო მონუმენტის დასრულება ვერ ხერხდება.

აღნიშნული მონუმენტის დასრულებას მთლიანობაში 800 000 ლარი სჭირდება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა სამოქალაქო თავდადებისათვის ოთხი შინდისელი დააჯილდოვა. „სამოქალაქო თავდადებისათვის“ გადაეცათ ბადრი(ახმეტა) ხუციშვილს, შალვა კვინიკაძეს, ილია კვინიკაძეს და ნუკრი ლაგორაშვილს, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში, მტრის პატრულირების მიუხედავად, საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს შინდისის გმირები.

პრეზიდენტმა ასევე გვირგვინით შეამკო 2008 წლის აგვისტოში სოფელ შინდისთან დაღუპული ქართველი სამხედროების მემორიალი.

◎ რთველი კარსაა მომდგარი

მინისტრი ქართველ მეღვინეებთან

მთავრობამ ყურძნის სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღო

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, მთავრობამ ყურძნის სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღო, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომელიც ღვინის ეროვნული საგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილთან ერთად ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა.

როგორც მინისტრმა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, ეს არის პრაქტიკულად შემაჯამებელი შეხვედრა მეღვინეებთან, რომლის დროსაც მოხდება ჩამოყალიბება ურთიერთთანამშრომლობის ფორმატებზე. „ჩვენთვის რთველი არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალპრიორიტეტული და გვინდა, რომ გვესმოდეს, თუ როგორი მიდგომებია, რას გავაკეთებთ. ერთი, რაც შემიძლია გავაჟღერო, არის ის, რომ სუბსიდირება გადაწყდა. წელს პრემიერის დავალებით, იქნება სუბსიდირება, ხვალ დილით გვექნება სპეციალური ბრიფინგი, სადაც უკვე კონკრეტულად მოგაწვდით ინფორმაციას ტარიფების ფორმატის, ზოგადად მეთოდოლოგიის შესახებ“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, მოსავალი არის ძალიან კარგი და მინიმუმ 30%-ით მეტი, ვიდრე იყო შარშან. „ეს გამოიწვია ძალიან ბევრმა სხვადასხვა ღონისძიებამ. კერძოდ, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ, რომელმაც მინიმუმ 32 პრევენცია გააკეთა მიმდინარე წელს. ეს გახლავთ შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა და ბევრი სხვა კომპლექსური ღონისძიება, რომელიც სახელმწიფომ გაატარა“.

გაფართოებულ ფორმატში გამართულ შეხვედრას 60-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო.

რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციები ძალაში შევიდა

უკრაინული მედიის ცნობით, აშშ-ის ფედერალური მთავრობის გაზეთში გამოქვეყნდა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების გაფართოებული სია, რომელთა წინააღმდეგაც სექტორული სანქციები ამოქმედდა.

სანქციების მიხედვით, სიაში მოხვდა შვიდი ფიზიკური პირი და ექვსი კომპანია, რომლებმაც ამ დრომდე დაწესებული სანქციები თავიდან აირიდეს, ასევე ორი რუსული კომპანია, რომელთა საქმიანობა რუსეთის სამხედრო ინდუსტრიასთან არის დაკავშირებული, ოთხი ყოფილი უკრაინელი მაღალჩინოსანი და მათი მხარდამჭერები, რომლებიც სახელმწიფო ქონების მოპარვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში არიან ბრალდებულები, ვიქტორ იანუკოვიჩის შვილის კომპანია MAKO, ყირიმის პორტების ხუთი ოპერატორი და კიდევ 35 კომპანია.

აშშ-მა ამ დრომდე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არაერთი ეკონომიკური სანქცია დააწესა. დაწესდა არაერთი შეზღუდვა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაც. სანქციების დაწესება რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და დონბასში რუსეთის აგრესიულ ქმედებებს უკავშირდება.

◎ ისევ ჩვენი კეთილდღეობისთვის

უძრავი ქონების დაზღვევით ნაკლები პრობლემები გვექნება

13 ივნისის სტიქიამ ცხადყო, რომ აუცილებელია უძრავი ქონების დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია ახალ პროექტზე მუშაობს, რომელიც უძრავი ქონების სავალდებულო დაზღვევის სისტემის ამოქმედებას გულისხმობს. როგორც bpn-ს დაზღვევის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილმა განაცხადა, სტიქიისგან დაზღვევის პროგრამასა და ბუნებრივი კატასტროფების მართვის მიზნით, მნიშვნელოვანი წამახალისებელი როლი სწორედ სახელმწიფოს ეკისრება.



„13 ივნისის სტიქიამ ცხადყო, რომ აუცილებელია უძრავი ქონების დაზღვევა, რომელიც მოსალოდნელი კატასტროფული მოვლენების შედეგად დამდგარ ზარალს აანაზღაურებს. ეს კატასტროფული შედეგების პრევენცია კი არ არის, არამედ ზარალის დადგომის შემთხვევაში მოხდეს ანაზღაურება. ჩემი აზრით, ურბანული დაზღვევით უნდა დავიწყოთ. როდესაც სტიქიაზეა საუბარი, სადმე სოფელში მომხდარი სტიქიური უბედურებით გამოწვეულ ზარალს ადგილობრივი ბიუჯეტი და შემოწირულობები გასწვდება, მაგრამ დიდ ქალაქებში ეს გამორიცხულია“, — აღნიშნა დევი ხეჩინაშვილმა.

მისივე თქმით, განვითარებულ ქვეყნებში 60-70 წელია, რაც სავალდებულო დაზღვევის სისტემა მოქმედებს. თუმცა, არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ სავალდებულო სტატუსის მოხსნის შემთხვევაში, როცა საქმე ჯიბიდან ფულის ამოღებაზე მიდგება, პრიორიტეტი დაბალია. ამიტომ სტატუსს — „სავალდებულო სადაზღვევო სისტემას“ ტოვებენ. საქართველო სტიქიური მოვლენებისგან დაცული არ არის, ამიტომ, აუცილებელია ქონების დაზღვევა. სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია, საჭიროა სწორად, მშვიდად, თანმიმდევრობით მოხდეს ამ სისტემის აუცილებლობის გააზრება და ამოქმედება. იქამდე კი, მოქალაქეებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდება. სისტემა გამართულად უნდა მუშაობდეს, რომ ადამიანს დაუცველობის გრძნობა არ გაუჩნდეს. მსგავსი სისტემა უკვე წლებია, რაც განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს, დროა, ჩვენც დავიწყოთ ამაზე ფიქრი და ეს სისტემა ავამოქმედოთ“, — განაცხადა დევი ხეჩინაშვილმა bpn-თან საუბრისას.

სალომე გოგოხია

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲡ!

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ: „ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ 300 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ“.

ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ „ᲐᲜᲢᲝᲜ ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ, ᲗᲣ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲗᲝᲗᲝᲤᲘ ᲙᲘᲓᲘᲐ, ᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲡᲕᲠᲘᲡ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲡ“.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗ ᲡᲔᲒᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘᲪ — ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲐ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ — **„ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐ�გᲘᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲖᲔ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲐᲤᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲚᲝ�გᲘᲙᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ“,** — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ **ᲝᲗᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ** (ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲣᲨᲘᲜᲐᲪ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ).

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲐ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ.

„ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲚᲝ�გᲘᲙᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ, ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲰᲓᲔᲡ. �თᲣ ᲠᲐᲛᲔ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲕᲘᲣᲬᲧᲝᲑᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲚᲝ�გᲘᲙᲐᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲡ�წᲐᲕᲚᲝᲑᲗ, �თᲣ ᲠᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲙᲝᲛᲞᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲩᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲓᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, თᲣᲛᲪᲐ, ᲞᲣᲠᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

„ᲮᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ �გᲐᲮᲡᲜᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ �გᲐᲜᲣᲖᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ; ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ; ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲝᲥᲡᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲩᲐᲙᲔᲢᲚᲘ, ᲜᲔᲝᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ �გᲕᲐᲥᲕᲡ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ �გᲘᲝᲠᲗᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ; ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ, ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲡᲣᲑᲣᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲘᲛᲘᲢᲛᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ 2%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲕᲔᲠ �გᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, Ე.Ი. ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲣᲠ ᲡᲐᲛᲐᲡᲮᲣᲠᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲡᲐᲪ. ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲠᲔᲘᲤᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ.

„ᲚᲝ�გᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲓᲠᲔ �თᲣ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲔᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲘᲡᲐ, ᲐᲜ ᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ“, — ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ; ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲖᲛᲐ, ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲞᲝᲢᲘᲖᲛᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲪᲘᲡ.

„ᲮᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ �გᲐᲮᲡᲜᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲣᲖᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ; ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ; ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲝᲥᲡᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲩᲐᲙᲔᲢᲚᲘ, ᲜᲔᲝᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲒᲕᲐᲥᲕᲡ თᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘᲗ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ, ᲔᲡᲔᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲯᲜᲣᲚᲘ;

„ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲩᲔᲜᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲡ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ“, — ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲗᲝᲠᲓᲐᲫᲔ

ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲠᲔᲘᲤᲘ ᲓᲐ ᲞᲣᲠᲖᲔ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐ

◎ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲔᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ

**ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ-ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲚᲣᲢᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ. „ᲚᲐᲠᲘ, ᲔᲡ ᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲑᲐ - ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐ, ᲔᲛᲑᲐᲠᲒᲝᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲐ; ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲥᲔᲖᲔᲑᲐ; ᲑᲔᲕᲠ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲑᲘᲜᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ; ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲔᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲛᲝᲬᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲐᲭᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲒᲝᲚᲘ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ. ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲐᲓ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔᲪ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ �გᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ.

„ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲐᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐ ᲗᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲛᲝᲘᲖᲘᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ �გᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚ ᲐᲗᲐᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲡ �გ

SIC!

ᲒᲐᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ!

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ **აფხაზეთის სოფლებში ახალი სასწავლო წლისთვის სიახლეებია დაგეგმილი, რაც ყველა სასწავლო დაწესებულებაში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვას და სკოლების ნაწილის დახურვას ითვალისწინებს.** ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გალის რაიონს, სადაც რიცხობრივად ყველაზე მეტი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს და სადაც სწავლა-განათლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. გალის რაიონის სკოლის მასწავლებლებისთვის უკვე ამოქმედდა სპეციალური რუსულენოვანი კურსი, რომელიც სამსახურის შენარჩუნების მსურველთათვის სავალდებულოა.

— „მასწავლებლები მიჰყავთ გალში და გადიან გადამზადებას. რუსულზე გადაჰყავთ ყველა. დათხოვნით არავის არ დაითხოვენ. უბრალოდ, გადაამზადებენ, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ გალის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგმა, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს. ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი განმარტავს, რომ მშობლების დიდ ნაწილს არ სურს ბავშვებმა განათლება რუსულ ენაზე მიიღონ, მაგრამ გამოსავალს დე ფაქტო ხელისუფლება არ უტოვებს: „ძალიან იშვიათადაა ბავშვი, რომელსაც იქ სწავლა უნდა. სხვა საშუალება არ აქვთ. აქეთ, ზუგდიდში, ვერ გადაჰყავთ, ვერ ასწავლიან შვილებს. იძულებული იქნებიან აქ ასწავლონ“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნონა შონია აცხადებს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ დიდი ხნის წინათ დაიწყო ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ და ის, რაც ახლა ხდება, ამ გეგმის ნაწილია. მისი სიტყვებით, ამ ეტაპზე აფხაზეთის სკოლებში საბოლოოდ შემუშავებული სასწავლო გეგმა არ არსებობს, ამიტომ გაურკვეველია, ქართული ენა აიკრძალება თუ არა მაღალ კლასებშიც, სადაც მოზარდების დიდმა ნაწილმა განათლება წლების განმავლობაში ქართულ ენაზე მიიღო და არც იციან სათანადოდ რუსული:

„დაწყებითი კლასის მასწავლებლები რუსული ენის სასწავლებლად არიან წარგზავნილები გალის ჰუმანიტარულ კოლეჯში...ძალიან დიდი სირთულეების წინაშე დგას მშობლიური ქართული ენა, ენა, რომლის დაცვაზე და შენარჩუნებაზეც წლებია ზრუნავს მოსახლეობა. თუ ასე კატეგორიულად აიკრძალება და ყველანაირად შეიზღუდება, ისევე, როგორც ტყვარჩელში და ოჩამჩირეში შეიზღუდა, ან როგორც თითო საათამდე შემცირდა გალის ზედა ზონაში, ბუნებრივია, ეს საკითხი ძალიან დიდ მღელვარებას გამოიწვევს მოსახლეობაში“, — განუცხადა ნონა შონიამ რადიო „თავისუფლებას“. მისი ცნობით, **ასევე დასტურდება გავრცელებული ცნობები სკოლების დახურვის გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც დახურვის კანდიდატია გალის რამდენიმე სკოლა, მათ შორის ერთი — რაიონის ზედა ზონაში, სამი კი — ქვედაში. ნონა შონიას სიტყვებით, ეს ის სოფლებია, სადაც ქართველმა მასწავლებლებმა აქამდე სიცოცხლის რისკის ფასად შეინარჩუნეს ქართული სახელმძღვანელოები.**

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲖᲐᲜᲗᲐᲠᲐᲘᲐ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲡ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ!..

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ, ᲐᲜᲣ ᲞᲘᲐᲠᲡ

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ღონისძიებებით და პარტიული აქტივობებით, „ქართული ოცნება“ სექტემბრიდან არჩევნებისთვის მზადებას იწყებს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის თავიდან მოხდება საარჩევნო სიის ფორმირება და როგორც ამბობენ, ამ რესურსის ძებნა „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ხანია დაიწყო. პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ გადაცემა „2030“-ის ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც უკვე გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე, გადაინაცვლებს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის შემადგენლობაში.

რატომ ვერ შეძლო სამი წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული სტრუქტურების შექმნა, როგორ შეინარჩუნებს „ქართული ოცნება“ კოალიციას და შესაძლებელია თუ არა დაიშალოს არსებული კოალიცია?



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ: ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პირველად ხდება, როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალა ღიად აფიქსირებს, რომ იწყებს საარჩევნო კამპანიას და ეს ხდება არა რამდენიმე თვით ადრე, არამედ არჩევნებამდე მთელი წლით ადრე. რაც საშუალებას აძლევს ყველა ოპოზიციურ ძალას, რომ დროულად და მეთოდურად დაიწყონ მზადება საპარლამენტო არჩევნებისთავის. ერთი წელი არც ისე დიდი დროა და შეიძლება ითქვას, რომ პარტია „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებული არ არის.

— რატომ ვერ შეძლო სამი წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული სტრუქტურების შექმნა?

— სულ ერთი წლის წინათ ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. მანამდე იყო საპარლამენტო, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები. სამივე არჩევნები ჩატარდა კოალიციურ რეჟიმში. ამიტომაც, როგორც ჩანს, ცალკე აღებული პოლიტიკური ძალისთვის ვერ მოიცალეს.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყო ადგილობრივი ხელისუფლებების დაკომპლექტება, პარტიულმა რესურსებმა გადანაცვლა სახელმწიფო სტრუქტურებში.

— ახლა უკვე ამ რესურსების თავიდან მოძიება უნდა მოხდეს. დამიჯერეთ, ადვილი არ არის ორგანიზაციული მუშაობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ქართულ ოცნებაში“ საორგანიზაციო მდივანი რამდენჯერმე შეიცვალა. ირაკლი კობახიძე კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ ორგანიზაციულ საკითხებზე მუშაობა საკმაოდ რთულია. რამდენად გაართმევს თავს, არ ვიცი.

— ცნობილია, რომ პარტიას რამდენიმე რეგიონულ ორგანიზაციაში ახალი თავმჯდომარე ეყოლება, როგორ ფიქრობთ, რამდენად გაუჭირდება ახალი კადრების მოძიება კოალიციას?

— გეთანხმებით, რომ ახალი კადრების მოძიება საკმაოდ რთული საკითხია, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ აქვს სხვა, და ეს არის ხელისუფლების ხიბლი. ამიტომ, ადამიანი რომელიც არჩევს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, ბუნებრივია, არჩევანს ხელისუფლების სასარგებლოდ გააკეთებს, რადგან ძალაუფლება „ქართული ოცნების“ ხელშია. ამიტომ, ის ხიბლი, რასაც ხელისუფლების ხიბლი ჰქვია, უფრო მეტ შანს აძლევს „ქართულ ოცნებას“, მოიზიდოს პოლიტიკური რესურსი.

— მეორე მხრივ ჩნდება კითხვა, სჭირდება კი, დღეს „ქართულ ოცნებას“ რესურსი?

— რა თქმა უნდა, სჭირდება, იმიტომ, რომ 2016 წელს იქნება საპარლამენტო არჩევნები. როგორც ჩანს, თავიდან მოხდება საარჩევნო სიის ფორმირება. ვფიქრობ, რომ ამ რესურსის ძებნა „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ხანია, დაიწყო, ოღონდ შეფარული ფორმით.

— რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ გადაცემა „2030“-ს და ექსპერტთა გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც უკვე გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ვფიქრობ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიცვლებს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის შემადგენლობაში.

— ამასთანავე, ერთობ საინტერესოა, როგორ შეინარჩუნებს „ქართული ოცნება“ კოალიციას? შესაძლებელია დაიშალოს კოალიცია?

— უკვე გვიანია იმაზე ფიქრი, რომ კოალიცია შეიძლება დაიშალოს. თუ „ქართული ოცნების“ მმართველი ელიტა ფიქრობს, რომ ცალკე უნდა გავიდნენ ამ არჩევნებზე, ეს საკმაოდ რისკიანი ნაბიჯი იქნება. ბუნებრივია, კოალიციის დაშლა და უთანხმოება კოალიციის საწინააღმდეგოდ იმუშავებს. მე ვფიქრობ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ კოალიციის სახელით გამოვა და ვფიქრობ, რომ ეს იქნება სწორი ნაბიჯი.

— იმისთვის, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა კოალიცამ შეინარჩუნოს უმრავლესობა, რამდენად აუცილებელია გუნდის გადახალისება და არა მხოლოდ რეგიონალური მიმართულებით?

— აუცილებელია და საზოგადოებაც ამას ითხოვს. პოლიტიკაში და მითუმეტეს საპარლამენტო ბატალიებში მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და საზოგადოებაში რეიტინგით სარგებლობენ. ყოველთვის ჯობია, რომ პოლიტიკოსები იყვნენ ცნობადები, იცოდნენ მათი რხევის დიაპაზონი, ვიდრე უცნობი ადამიანები შემოვიდნენ პოლიტიკაში. პოლიტიკაში უცნობი ადამიანები საკმაოდ ბევრ პრობლემებს ქმნიან.

ვისურვებდი, რომ „ქართული ოცნების“ ახალი საპარლამენტო სია პროფესიონალებით დაკომპლექტდეს. კანონშემოქმედებითი საქმიანობა და პოლიტიკური ხედვა ჰქონდეს ამ ხალხს. საქართველოში უნდა დასრულდეს ქუჩიდან პირდაპირ პარლამენტში მოხვედრის პროცესი, რადგან, ამას არც ქვეყანისთვის მოაქვს სიკეთე და არც თვითონ ამ ადამიანებისთვის.

— „ქართულ ოცნებას“ ჰყავს რეალური კონკურენტი, რომელსაც სერიოზული მხარდაჭერის მოპოვების შანსი აქვს?

— დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია გაერთიანებას ვერ მოახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭრელი შემადგენლობის „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ამომრჩევლის გაერთიანება, ქართული ოპოზიცია გაერთიანებას ვერ შეძლებს. რეალურად, დღესდღეობით, „ქართულ ოცნებას“ რეალური კონკურენტი არ ჰყავს.

— თუმცა, ნაციონალური მოძრაობა ხომ ცდილობს, რომ თავი წარმოაჩინოს ასეთ კონკურენტად?

— ძალიან ცდილობს, მაგრამ ჩემი აზრით, ის ასეთი კონკურენტი არ არის. მაგრამ არის მეორე და საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, ის განაწყენებული ელექტორატი, რომელიც მიდის „ქართული ოცნებიდან“ — მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ინდიფერენტული ხდება პოლიტიკური პროცესის მიმართ. თუ ასეთი პროცესი გაგრძელდა, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი არ მივა არჩევნებზე, რაც ძალიან რთულ ვითარებას შექმნის.

— არჩევნების პარალელურად, ხელისუფლება პიარის კუთხითაც იწყებს ზრუნვას. „ქართული ოცნებისთვის“ ერთ-ერთი სუსტი წერტილი იყო პიარი. ხელისუფლება პიარის კუთხით გამოთქმულ შენიშვნას არ იმჩნევდა; თუმცა, მის შიგნით ტრიალებდა აზრი, რომ პიარი მოსაგვარებელია და ეს პრობლემაა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ სტრატეგიის ცვლილება დაიწყო?

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ პიარი საჭირო არ არის და თუ რამეს გააკეთებდნენ, ისედაც ნათელი იქნებოდა. რაც სტრატეგიული თავალსაზრისით იყო შეცდომა და ეს აისახა იმ რეიტინგის ვარდნაზე, რაზედაც მიდის ლაპარაკი.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲞᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲞᲘᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲗᲕᲘᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ, ᲐᲜᲣ ᲞᲘᲐᲠᲡ.

როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ უპიარობა არ ვარგა. კარგია, რომ დაიწყეს ამაზე ზრუნვა, თუმცა, ჯობდა, გაცილებით ადრე დაეწყოთ ფიქრი, თუმცა, ფაქტია, რომ დანაკარგს უკვე ვერ შეავსებენ.

პიარის ახალმა ჯგუფმა ახალი მოდელი უნდა შეიმუშაოს, რომ „ქართული ოცნების“ სტრატეგია მიიტანოს ამომრჩევლამდე და რაც მთავარია, ამომრჩეველი დაარწმუნოს ამაში.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ვისურვებდი, რომ „ქართული ოცნების“ ახალი საპარლამენტო სია პროფესიონალებით დაკომპლექტდეს. კანონშემოქმედებითი საქმიანობა და პოლიტიკური ხედვა ჰქონდეს ამ ხალხს. საქართველოში უნდა დასრულდეს ქუჩიდან პირდაპირ პარლამენტში მოხვედრის პროცესი, რადგან, ამას არც ქვეყანისთვის მოაქვს სიკეთე და არც თვითონ ამ ადამიანებისთვის.

ვაკუუმი გამოძიებაში - არავინ იცის, სად იყო ზურაბ ჟვანია...

როგორც ვიუწყებოდით, 8 ივლისს, 12 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით, საქალაქო სასამართლოში ბოლო დროის ყველაზე რეზონანსული საქმის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობის სასამართლო პროცესი დაიწყო. ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარდგნენ, ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე და პრემიერის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მიხეილ ძაძამია. სასამართლომ უკვე დაკითხა ზურაბ ჟვანიას მეუღლე ნინო ჟვანია-ქადაგიძე და დედა რემა ჟვანია.

სასამართლოს ჩვენება მისცეს ჟვანიას დაცვის წევრებმა და სდსს-ის უფროსმა თემურ ჯანაშიამ... დასაკითხ პირთა სია საკმაოდ ვრცელია, თუმცა, ჩამონათვალში ფიგურირებს ყოფილი პრემიერის უახლოესი მეგობარი, გიორგი ბარამიძე, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ შეიტყო.

მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? – ამ კითხვაზე პასუხს 12 ნაფიცი მსაჯული რამდენიმე დღეში იტყვის. მათი გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და გასაჩივრებას აღარ დაექვემდებარება.

ზურაბ ჟვანიას დედა რემა ჟვანია აცხდებს, რომ პრემიერის მკვლელობა ვანო მერაბიშვილის დადგმული სცენარი იყო. რემა ჟვანიას განცხადებით, თავიდანვე იცოდა, რომ მისი შვილი მოკლული იყო, ხარშილაძე და ძაძამია კი იტყუებიან. როგორც ქალბატონი რემა ამბობს, სიკვდილის წინ ზურაბ ჟვანია მასთან სახლში იმყოფებოდა და ღამის 12 საათზე დაურეკეს. მისი თქმით, არ ელაპარაკებოდა მეგობარს, საუბრობდა ოფიციალური ტონით და, როგორც იცის, მას გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა დაურეკა.

„ზურა იმ ღამეს იმ ბინაში არ იმყოფებოდა და გარდაცვალების შემდეგ მიიყვანეს. ზურა რომ იმ სახლში ყოფილიყო, ფანჯარას გამოაღებდა. ეს მისი ცხოვრების წესი იყო, ფანჯარა სულ ღია ჰქონდა, ამბობდა, რომ სუფთა ჰაერი სასარგებლოა ყველასთვის. არ მჯერა ექსპერტის ნათქვამი, რომ ზურას ნაწლავში მოხარშული ძეხვი აღმოუჩინეს, რადგან ზურა იყო დიეტაზე და მოხარშული ძეხვის ჭამას გვიკრძალავდა ყველას; ამბობდა, რომ ეს არ არის სასარგებლო.

ე.ი. რეჟისორმა არ იცოდა ზურას თვისებები, ზურა აუცილებლად გააღებდა ფანჯარას. დავრწმუნდი, რომ ეს არის ბინძური სპექტაკლი. ძაძამია და ხარშილაძე კი ყველაფერს იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ მივიდნენ 4 საათზე იმ ბინაში, სადაც გაიგონეს გამათბობლის ხმა. თუმცა, 3-ის ნახევარზე ამ უბანში გაზი იყო გადაკეტილი. ხარშილაძეს კი როდესაც დაუსვეს შეკითხვა, რატომ მიატოვა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პრემიერ-მინისტრი, მან საუბარი გადაიტანა არარსებულ ინტიმურ ურთიერთობებზე. ზურა რომ მოკლეს ეს თავიდანვე ვიცოდი“, – აცხადებს რემა ჟვანია.

მისი თქმით, როდესაც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, იმედი ჰქონდა, რომ მთავრობაში მყოფი მისი მეგობარი გია ბარამიძე ზურას სიკვდილის მიზეზებს დაადგენდა, რადგან ბარამიძე მასთან ხშირად მიდიოდა და ეკითხებოდა, როგორ მიდიოდა გამოძიება, ბარამიძე კი პასუხობდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

„მე მას ვკითხე, რომ სჯეროდა თუ არა იმ სიბინძურის, რომელსაც ამბობდნენ. მან მითხრა, დაწყნარდით, ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ შეკითხვაზე კი მიპასუხა, რას ბრძანებთ, მე მასე არ ვფიქრობო. ვნახულობდი ხათუნა გოგორიშვილსაც, რომელმაც ერთ-ერთი საუბრისას თქვა, რომ ნეტავ დადგეს ის დრო, როდესაც სიმართლეს გაიგებენო“, – აღნიშნა რემა ჟვანიამ.

მოხდება თუ არა რემა ჟვანიას ჩვენების საფუძველზე ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის პასუხისგებაში მიცემა, ამ საკითხზე პროკურატურა კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, ცნობილია, რომ ვანო მერაბიშვილი ჟვანიას საქმეზე გამოკითხულია და გამოკითხვის ოქმი პროკურატურაში მიმდინარე მთავარი საქმის გამოძიების მასალებში დევს.

ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებულების ხარშილაძისა და ძაძამიას წინააღმდეგ საქმის განხილვისას ნაფიც მსაჯულებს ჩვენება მისცა სდსს-ის ყოფილმა უფროსმა თემურ ჯანაშიამ, რომლის განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს დაცვითი ღონისძიებების დარღვევასთან, რადგან მისი თქმით, ზურაბ ჟვანიამ დაცვის სრული შემადგენლობა იმ გადაადგილებამდე დაითხოვა. შესაბამისად, მისი თქმით, ძაძამია ვერ ჩაითვლება პირად, ვისაც უნდა უზრუნველეყო პრემიერ-მინისტრის უსაფრთხოება.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში ერთადერთი ჩანაწერი არის ის, რომ დაცვამ პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისგან უნდა დაიცვას. კანონში არაფერი წერია დასაცავი პირის დაცვის შესახებ მოულოდნელი შემთხვევებისგან.

სასამართლოზე პროკურატურა დეკლარირებულად აცხადებს, რომ ზურაბ ჟვანია თავისი ფეხით, საღ გონებაზე მივიდა იმ სახლში, სადაც იგი გარდაცვლილი აღმოაჩინეს. სხვა დეტალებზე როგორიც არის საფერფლე და ა.შ. პოლიტიკოსების მხრიდან საუბარი პიარის მიზნით, ქულების დასაწერად კეთდება“, – აცხადებს თემურ ჯანაშია.

ბოლო დროის ერთ-ერთი რეზონანსული საქმის პროკურორი ზვიად გუბელაძე ამბობს, რომ თემურ ჯანაშიამ სამართლებრივად აბსურდულ ფაქტებზე ისაუბრა და სდსს-ის შესახებ კანონს, გეგმებს და ინსტრუქციას სასაცილო დოკუმენტები უწოდა.

„ჯანაშიამ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რა ვითარებაში გარდაიცვლება დასაცავი პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, მან ჟვანიას დააბრალა, რომ ის დაცვის გარეშე იყო დარჩენილი და საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. თემურ ჯანაშიას ჩვენებაზე სამართლებრივი შეფასების გაკეთება ზედმეტია.

ყველამ იცის, ვინ არის თემურ ჯანაშია. ის არის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ის წარმომადგენელი, რომელსაც პროკურატურა 8 მილიონნახევარი თანხის გაფლანგვას ედავება. ის არის დაინტერესებული პირი, რომელსაც მისი ბრალდების საქმეში იცავს ბექა ბასილაია, რომელიც ამჟამად არის ჟვანიას საქმეზე ბრალდებული კობა ხარშილაძის ადვოკატი“, – აღნიშნა ზვიად გუბელაძემ.

ზურაბ ჟვანიას მეუღლე ამბობს, რომ ასეთი მკვლელობები კარგად არის ორგანიზებული და შესაბამისად, ამ დროში პოლიტიკური მკვლელობის გამოძიება ბევრი მიზეზის გამო რთულია. მისივე თქმით, ყველამ იცოდა როგორ ცხოვროდა და როგორი ადამიანი იყო ზურაბ ჟვანია.

„სიმართლე ყველაზე მოქმედებს. ჩემს სიტყვას აქვს ფასი და ჩემი სიტყვა, ჩემი ცხოვრებით მაქვს გამყარებული. ყველამ იცის, რომ ამ საქმეზე არც ერთი ინფორმაცია არ მითქვამს ისეთი, რომელიც ზუსტად არ ვიცოდი, ამიტომაც მენდობიან. მაგათ არავინ არ ენდობა, ყველაფერი რაც თქვეს, ტყუილი აღმოჩნდა. როდესაც მივედი გარდაცვალების ადგილას, ხარშილაძე შესვლის უფლებას არ მაძლევდა. მოგვიანებით მოვახერხე შესვლა და ვნახე ზურა და რაული, რომლებსაც თეთრი პერანგები ეცვათ.

ღამის 3 საათზე გაზი გადაკეტილი იყო იმ კორპუსში. ახლა კი, რაღაცას ბოდავენ. ამბობენ, რომ ძაძამიამ დაურეკა ხარშილაძეს, შემდეგ, ხარშილაძემ ფანჯარა გატეხა და გაზი გამოვარდა ფანჯრიდან. ხარშილაძე ამბობს, რომ გაზის შიშინი ესმოდა და გამათბობელი გამორთო. ექსპერტიზის შემდეგ კი გაირკვა, რომ ის გამათბობელი საერთოდ არ იყო ჩართული“, – აცხადებს ნინო ჟვანია-ქადაგიძე.

ყოფილი პრემიერის გუნდის წევრი ხათუნა ხოფერია აცხადებს, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტი იწყება 12:40 საათიდან 4:30-მდე, როდესაც საბურთალოზე მიდის ხარშილაძე. მისივე თქმით, სწორედ ამ შუალედში არის გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია.

„გამოძიებამ უნდა დადოს მასალა, რა ხდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში.ზურაბ ჟვანია იმყოფებოდა დედასთან, დაცვა გაფრთხილებული ჰყავდა, რომ მიდიოდნენ წყნეთში. თუმცა, მის ტელეფონზე შედის ზურაბ ადეიშვილის ზარი; ზურა ცვლის მარშრუტს და მიდის სადღაც. აი აქედან მოყოლებული, ყველაფერი ბურუსით არის მოცული. ერთადერთი რა ფაქტებიც დევს, გახლავთ ის, რომ ღამის 1 საათამდე ზურა შეუწყვეტლივ ლაპარაკობს ტელეფონზე.

არავინ იცის, სად არიან ძაძამია და ხარშილაძე მთელი პერიოდი, საერთოდ არავინ არ იცის, სად იმყოფებოდა ამ პერიოდში თავად პრემიერ-მინისტრი. აი, ეს უნდა გაარკვიოს, პირველ რიგში, პროკურატურამ. უცნაურად არ გეჩვენებათ ძაძამიას ქცევა, რომელიც, როგორც თავად ამბობს ურეკავდა პრემიერ-მინისტრს და არ პასუხობდა; 3-საათიანი შუალედის შემდეგ მიდის იქ, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, დატოვა პრემიერ-მინისტრი, კარებზე რეკავს და არავინ არ პასუხობს, მერე ადის ფანჯარაზე და გისოსებიდან ხედავს უგონო მდგომარეობაში მყოფ პრემიერ-მინისტრს.

ამ დროს ახსენდება, რომ ტელეფონი აქვს დამჯდარი, ნახევარი საათი ტენის ტელეფონს, ამის შემდეგ უკავშირდება ხარშილაძეს და მასთან ერთად აქვს მცდელობა, რომ შევიდნენ ბინაში. როგორ შეიძლება ბრალი არ წაუყენონ მათ? – გამცენ პასუხი, უნდა ემოქმედა თუ არა ძაძამიას ოპერატიულად, რომ გადაერჩინა პრემიერი, თუ უნდა წასულიყო და ტელეფონი დაეტენა“? – ამბობს ხათუნა ხოფერია.

როგორც ხოფერია აცხადებს, პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში მან დეტალურად ისაუბრა მასსა და გია ბარამიძეს შორის შემდგარი საუბრის დეტალებზე.

„ეს ჩვენება მიცემული მაქვს პროკურატურისთვის და პირადად გია ბარამიძეს ჩემთვის ნათქვამი აქვს, რომ იმ ღამეს, როდესაც მიდიოდა ზურას გარდაცვალების ადგილზე ფაქტის სანახავად, გზაში დაეწია მიხეილ სააკაშვილის ზარი და უთხრა, რომ ჯერ ჩემთან მოდიო. როგორც აღმოჩნდა იმ ღამეს სააკაშვილი მოხვედრილი იყო ავარიაში. რა საჭირი იყო ბარამიძის მოხსნა იქიდან, თქვას ბარამიძემ, რა საჭირო იყო მისი სააკაშვილთან მისვლა, რა ჭირდა სააკაშვილს? ამ კითხვაზე აუცილებლად უნდა გაგვცეს პასუხი პროკურატურამ.

ეს ფაქტი ბარამიძეს ძალიან ბევრ ადამიანთან აქვს მოყოლილი, მიშა ისეთ დღეში იყო, რომ იმ ღამეს ავარიაში მოჰყვა. ეს ყველაფრი ძალიან საინტერესოა. ასე, რომ მე ნაკლებად მაინტერესებს 4:30-ზე იმ ბინაში გვამების შესატანად და გამოსატანად მისული ძაძამია და ხარშილაძე რა ჩვენებას მისცემენ და როგორ დაისჯებიან. მე მაინტერესებს 12:40 წუთიდან 4:30-საამდე რა ხდებოდა, ამაზე უნდა გაგვცეს პასუხი ძიებამ“, – აღნიშნა ხათუნა ხოფერიამ.

ორშაბათს სასამართლომ ზურას უახლოესი „დამცველი მეგობრები“ ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი დაკითხა. ისინი ერთმნიშვნელოვნად „ამტკიცებენ“, რომ ზურაბ ჟვანია უბედურმა შემთხვევამ – „გაზის გაჟონვამ“ იმსხვერპლა! სხვას აბა როგორ იტყოდნენ?!

თამთა ძარჩავა

◎ დაზარალებული აღელდა!

კიკიანმა დამნაშავეთა ამოცნობა ვერ შეძლო

საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ლიკა კიკიანის საქმესთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2015 წლის 9 ივლისს, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ხსენებულ საქმეზე დაზარალებულმა ლიკა კიკიანმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“ მოვლენილ დამცველთან ერთად მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებაში — პიროვნების ამოცნობის ჩატარებაში, რა დროსაც მას უნდა ამოეცნო ის სავარაუდო პირები, რომლებმაც მისივე განცხადებით მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა. ამოცნობისას, პირველ სამ შემთხვევაში მან ვერ შეძლო აღნიშნული პირების ამოცნობა. მიუხედავად იმისა, რომ გრძელდებოდა ხსენებული საგამოძიებო მოქმედება და ჩასატარებელი იყო კიდევ 10 ამოცნობა, კიკიანი გაურკვეველი მიზეზის გამო აღელდა, დაიწყო ტირილი, სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა როგორც იქ მყოფ, ასევე ამოსაცნობ პირებს და დემონსტრაციულად დატოვა პროკურატურის შენობა.

რაც შეეხება გამოძიებას — იგი გრძელდება ჩვეულ რეჟიმში, დანიშნულია ყველა შესაძლო და საჭირო ექსპერტიზა, გრძელდება სხვა საგამოძიებო მოქმედებებიც და მტკიცებულებათა სრულყოფილად შეკრების შემდგომ მიღებული იქნება კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, რაც აუცილებლად ეცნობება საზოგადოებას“, — ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნათია სუხიაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ინტერპრესი

◎ როგორ ვცხოვრობთ?

სიიაფის „მოწინავენი“

როდესაც მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში მოხვედრა არცთუ საპატიოა



საერთაშორისო კონსალტინგური კომპანიის „მერკერის“ მიერ შედგენილი რეიტინგით, რომელმაც მომსახურებისა და საქონლის 200 სახეობის მიხედვით გამოკვლევა ჩაატარა, თბილისი მსოფლიოს ქალაქების იმ პირველ ათეულში მოხვდა, სადაც უცხოელთათვის ცხოვრება ყველაზე იაფია.

„მერკერის“ ექსპერტების კვლევის საგანი გახდა სერვისებისა და საყოფაცხოვრებო საქონლის ისეთი სფეროები, როგორებიცაა ტრანსპორტი, კვება, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობები, კომუნალური ტარიფები, ბინის ქირა და ა. შ.

მიღებული შედეგებით, უცხოელთათვის მსოფლიოში ყველაზე იაფიანი ქალაქია ყირგიზეთის დედაქალაქი **ბიშკეკი**. მის გარდა, უცხოური ქისებისა და ჩეკის წიგნაკებისთვის ყველაზე „ადვილად ასატან“ ქალაქთა ათეულში არიან **ვინდჰუკი** (ნამიბია), **ყარაჩი** (პაკისტანი), **ტუნისი** (ტუნისი), **სკოპიე** (მაკედონია), **ბანჯული** (გამბია), **მინსკი** (ბელარუსი), **კეიპტაუნი** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), **მანაგუა** (ნიკარაგუა) და ბოლოს **თბილისი**.

„მერკერის“ მიერ გამოქვეყნებულ ნუსხაში მთლიანად მსოფლიოს 207 ქალაქია მოხვედრილი, ათვლის წერტილად კი **ნიუ-იორკის** (აშშ) ფასები იყო აღებული. კონსალტინგური კომპანიის ექსპერტების ცნობით, ორი კაცის ჩვეულებრივი სადილი თბილისში 37 ლარი ჯდება, ტაქსით მგზავრობის საფასური 3 ლარიდან იწყება, ყველაზე იაფიანი საწვავის ლიტრი 2.02 ლარი ღირს, ცნობილი ბრენდების ჯინსი — 118 ლარი. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრში ერთ საძინებლიანი ბინის ქირა თვეში, საშუალოდ, 770 ლარი ჯდება, ეგრეთ წოდებულ საძინებელ რაიონებში კი, საშუალოდ, 470 ლარი. ბინის ყიდვის დროს პოტენციურმა კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კვადრატული მეტრის ფასი, უბნისა და რემონტის ხარისხის მიხედვით, 1180-დან 1950 ლარამდე ფარგლებში მერყეობს. ასევე აღნიშნავენ, რომ საქართველოში საშუალო ხელფასი, გადასახადების გამოკლებით, 581 ლარია, საშუალო იპოთეკური კრედიტი კი თვეში 12,8 პროცენტს შეადგენს.

ბუნებრივია, მათთვის, ვისაც „ევროპული ნორმალური“, ადამიანის ღირსების არაშეურაცხმყოფელი ხელფასი აქვს, თბილისში ცხოვრება ძვირი ნამდვილად არ არის — არც ჩამოსული ხალხისთვის, დროებით ტურისტულად იქნება ეს თუ გაცილებით ხანგრძლივად, არც სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო და მასთან მიახლოებული რგოლების მუშაკთათვის, აღარაფერი რომ ვთქვათ უმაღლესი რანგის ჩინოსნებსა და კერძო ბიზესში დასაქმებულებზე. თუ რა თანხებზეა მთლიანად ლაპარაკი, სახელმწიფო მოხელეთა ყოველწლიურ სარგოსთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ ციფრს მოვიყვანთ: მათ შენახვაზე ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 14 პროცენტი იხარჯება. აღარაფერს ვამბობთ დანარჩენ „წვრილმანებზე“ — ავტოტრანსპორტზე, კაბინეტების მოწყობაზე, საკომუნიკაციო უზრუნველყოფაზე, მრავალკაციანი დელეგაციების სრულიად არაფრის მომცემ უცხოურ ვოიაჟებსა და ა. შ.

რის თქმა შეიძლება კიდევ? ალბათ, იმის, რომ თბილისზე იაფიანი უცხოელთათვის მსოფლიოში, სულ მცირე, კიდევ ცხრა ქალაქი მაინც არის, სადაც ცხოვრება, როგორც ჩანს, კიდევ უფრო „საამურია“. კიდევ იმის, რომ მოსახლეობა ზოგან შეიძლება უფრო გაჭირვებულადაც ცხოვრობს, რაც ნამდვილად სამწუხაროა, თუმცა, ჩვენთთვის ეს დიდი შვება მაინც-დამაინც არ არის.

ნინო ალექსანდრია

◎ როგორ ვისვენებთ?

მოზარდებზე ზრუნვის მაგალითი

ბავშვთა ჯგუფების ქალაქგარეთ გაყვანაზე სამინისტროებმა სარეკომენდაციო დოკუმენტის სამუშაო ვერსია შეიმუშავეს

ბავშვთა ჯგუფების ქალაქგარეთ გაყვანასთან დაკავშირებით, სამინისტროებმა სარეკომენდაციო დოკუმენტის სამუშაო ვერსია შეიმუშავეს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეხვედრა გაიმართა, სადაც ბავშვთა ჯგუფების ქალაქგარეთ გაყვანისთვის უსაფრთხოების სტანდარტის შესახებ იმსჯელეს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, კულტურის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მიხეილ გიორგაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ქობულეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ბავშვების სხვადასხვა სახის ჯგუფების მგზავრობასა და განთავსებასთან დაკავშირებით შესაბამისი სტანდარტის შემუშავების ინიციატივა წარმოიშვა.

მისივე თქმით, კულტურის, ჯანდაცვის, განათლებისა და სპორტის სამინისტროების იურიდიულმა სამსახურებმა მშობლებისა და ორგანიზატორების მიმართ რეკომენდაციების სამუშაო ვერსიაზე იმუშავეს.

მიხეილ გიორგაძის ინფორმაციით, დაახლოებით ათი დღის ვადაში, იურიდიული სამსახურები ტექსტში კომენტარებს და შესწორებებს ასახავენ. თვის ბოლომდე დოკუმენტის სამუშაო ვერსია თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კავშირებს გადაეგზავნება. სექტემბერში კი შეხვედრა გაიმართება, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციებს მოიწვევენ და საბოლოო ტექსტს მიიღებენ. მინისტრის განცხადებით, თითოეული სამინისტრო თავისი სფეროს ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია გავრცელდეს როგორც ღონისძიებების ორგანიზატორებისთვის, ისე მშობლებისთვის. თითოეული სამინისტრო შესაბამის მონიტორინგს თავის სფეროში განახორციელებს.

რეკომენდაციები ეხება მგზავრობის, განთავსების, ბავშვზე ზრუნვისა და მოპყრობის პირობებს. როდესაც ჯგუფი ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არ არის, რეკომენდაციების თანახმად, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ჯგუფში იყოს მინიმუმ ერთი ადამიანი, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების ელემენტარული უნარ-ჩვევები ექნება. იგი თავად არ უნდა იყოს მძიმე დაავადებებით დასნებოვნებული. სატრანსპორტო საშუალება შესაბამისი უსაფრთხოების სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს და მგზავრთა გადაყვანისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. თუ ჯგუფს საგზალი მიაქვს, პროდუქტი მალფუჭებადი არ უნდა იყოს ან ტრანსპორტირება შესაბამის შენახვის პირობებში უნდა მოხდეს. სახლი ან სასტუმრო, სადაც ბავშვები ჩერდებიან, ხანძარსაწინააღმდეგო სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, უნდა გააჩნდეს აგრეთვე სამშენებლო სტანდარტი, უნდა იყოს რეგისტრირებული. გამყოლი პირები არ უნდა იყვნენ ნასამართლევი ისეთ მძიმე დანაშაულში, რაც შეუთავსებელს ხდის მათ ბავშვთან ურთიერთობას.

დავით სერგეენკოს თქმით, რამდენიმე სამინისტრო კოორდინირებულად ეცადა, რომ ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი არსებული სტანდარტები ერთ დოკუმენტში თავმოყრილიყო.

„ამ დოკუმენტს აუცილებლად გავაცნობთ დარგში მომუშავე სპეციალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. ვფიქრობ, ეს მოგვცემს საშუალებას, უკვე არსებული სტანდარტების დაცვა მასქიმალურად ვუზრუნველყოთ“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ტარიელ ხეჩიკაშვილის თქმით, სპორტული ღონისძიებები მრავლად იმართება, ახალგაზრდობის კუთხითაც დიდია აქტივობა და რეკომენდაციები უსაფრთხოების ნორმების დაცვას წაადგება. მინისტრის განმარტებით, დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერები არ შეიქმნება და ხარჯები არ გაიზრდება.

ლია გიგაურის ცნობით, ბავშვის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება არსებობს როგორც სკოლის ტერიტორიაზე, ასევე სკოლის გარეთ იმ აქტივობებზე, რომელზეც პასუხისმგებლობას სისტემა იღებს. მისივე თქმით, სტანდარტი და რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ახლა იქმნება, თავს უყრის სხვადასხვა მოთხოვნებს, რომელიც გაფანტული იყო.

მარიამ მახარობლიძე

◎ გუშინ

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის უკანონო პოლიტიკას სათანადო შეფასება მისცეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თამარაშენისა და წერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„2015 წლის 10 აგვისტოს, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენისა და წერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაამონტაჟეს, რის შედეგადაც რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის სასოფლო-სამეურნეო სავარგული ბანერს მიღმა მოექცა.

მსგავს უკანონო ქმედებას ადგილი ჰქონდა ასევე 6 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი ოკუპაციის ხაზის სიახლოვეს განმეორებით იქნა დამონტაჟებული.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მოსკოვის მხრიდან მორიგ პროვოკაციულ აქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და უხეშად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებს.

საქართველო კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს მასზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები და თავი შეიკავოს ვითარების ესკალაციისკენ მიმართული ქმედებებისგან.

ვაზიანის სასროლეთზე ე.წ. ტანკოდრომი გაიხსნა

ვაზიანის სასროლეთზე საბრძოლო მანქანების ტარების ველი — ე.წ. ტანკოდრომი გაიხსნა. გახსნის ცერემონიალში თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და გენერალური შტაბის უფროსმა , გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიიღეს მონაწილეობა. ტანკოდრომს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული კაპრალ რომან უგრეხელიძის სახელი მიენიჭა. უგრეხელიძე მეოთხე ქვეითი ბრიგადის 44-ე სატანკო ბატალიონის მეორე სატანკო ასეულში ტანკის მძღოლ-მექანიკოსად მსახურობდა.

ტარების ველზე ჯავშანტექნიკის საჩვენებელი გავლა და მანევრირება მოეწყო. როგორც თავდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ტანკოდრომი მუხლუხიანი საბრძოლო ტექნიკის მძღოლ-მექანიკოსებისა და მეთაურებისათვის ისეთი სახის დაბრკოლებებს შეიცავს, რომელიც რეალურ საბრძოლო პირობებს მაქსიმალურად ასახავს.

მინისტრ თინა ხიდაშელის განმარტებით, ვაზიანში ბევრი რამ, მათ შორის, ტანკოდრომი ნატოს საწვრთნელი ცენტრის შემადგენელი ნაწილი იქნება, რომელიც ამ თვის ბოლოს ოფიციალურად გაიხსნება.

ინტერპრესი

უქრთამო სამართალი, დიდი მოწყალება და რჩევის დაჯერება

ახლახან ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეს, ქვეყანაში რატომ არ იქმნება სამოქალაქო მონიტორინგის საბჭოებიო. ამ შეკითხვამ მაფიქრებინა წინამდებარე სტატიის დაწერა.

სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებდა:

— „მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უძრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა“.

— „მეფეთაგან სამს ილვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა“.

— „მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მოპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.“

— „მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: „საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა“.

უკეთესად რა უნდა თქვას კაცმა!

ქართველის მენტალიტეტში მეფე და, საერთოდ, ხელისუფალი ბრძენ ადამიანად არის აღქმული, რისი დასტურიცაა სიტყვა ხელმწიფე, ე.ი. ქვეყნის მართვისთვის მომზადებული და მომწიფებული პირი, რომელსაც ხალხმა ქვეყნის მართვის უფლება გადასცა, ხელისუფალი უწოდა და მიანიჭა ძალაუფლებაც (ძალა+(უფლება).

ცნობილია, რომ საქართველოში მეფეთა ურთიერთობა ხალხთან დიდად განსხვავდებოდა დასავლეთში თუ აღმოსავლეთში არსებული ურთიერთობისაგან. მეფე ხალხს საომრად კი არ მიერეკებოდა და თვითონ უკან დაცვით კი არ მიჰყვებოდა, არამედ წინ მიუძღოდა და ბრძოლის მთელ სიმძიმეს პირველი უპირისპირდებოდა.

მეფისა და ხალხის ასეთი ურთიერთობა, ანუ ბატონ-პატრონობა ქმნიდა ხელმწიფის რეალურ ძალაუფლებას და ხალხის თავისუფლების (თავის+უფლების) განცდასაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლება რეალურია მაშინ, თუ ხელისუფალს მხარს უჭერს ხალხი. ხოლო თუ ეს მხარდაჭერა არაა, მაშინ ძალაუფლება ფიქტიურია და ხელისულება — ფიტული!

ხელისუფალს რომ რეალური ძალაუფლება ჰქონდეს, დიდი საბას სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა გააჩნდეს სამართალი უქრთამო, კარი ღია, უნარი ყურის მიპყრობისა, სიტყვის გაგონების, რჩევის დაჯერების და საჩივრის სმენისა. ე.ი. ხელისუფალი ხალხს ყურს უნდა უგდებდეს და უჯერებდეს!

საუბედუროდ, საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანაც კი რეალურად დამოუკიდებელი არასდროს ყოფილა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით დასაფიქრებელია ის, რომ ხელისუფალნი სულ უფრო და უფრო შორდებიან ხალხს, რაც ფეხქვეშ გვაცლის ქართული სახელმწიფოს საფუძველს — ეროვნულობას, კარიკატურულად აფერმკრთალებს ხელისუფლებას და მისი საქმიანობის შედეგიანობას.

სამწუხაროდ, ასეა დღესაც გლობალიზაციისა და ძალთა დაუნდობელი გადანაწილების ვითარებაში, რაც საფრთხეს უქმნის თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც.

არადა, საშველს გარედან არ უნდა ველოდეთ. გადარჩენის შანსი მხოლოდ ჩვენ ხელთაა, თუ ქვეყნის ხელისუფლება შეძლებს გათავისუფლებას სხვათა გავლენებისგან და მტკიცედ დაადგება ეროვნული ინტერესების დაცვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გზას.

ეს იოლი საქმე არაა და უდიდეს ძალისხმევასთან ერთად დიპლომატიის უმაღლესი დონის დაუფლებაც დაგვჭირდება.

თავდაპირველად ძირითადია წლების განმავლობაში მავანთა და მავანთა, შინაურთა და გარეშეთა მიერ გაუპატიურებული საზოგადოებრივი აზრი გადავარჩინოთ, შემოვაბრუნით ეროვნული ინტერესების დაცვისკენ და ამ ნიადაგზე გავააქტიუროთ სამოქალაქო საზოგადოება.

ამ ამოცანების განხორციელების აუცილებლობა იმერეთსა და ქუთაისში ჩვენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ვიგრძენით და 1999 წელს დავაფუძნეთ საქართველოში პირველი კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც იყო სამოქალაქო მონიტორინგის ფუნქციების მქონე პირველი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, სამოქალაქო ზედამხედველობას რომ აწესებდა ხელისუფლების საქმიანობაზე.

საბჭოს დამფუძნებელი იყვნენ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი,** ქუთაისის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **არჩილ კოსტავა,** ცნობილი ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ალექსანდრე შენგელია,** საქართველოში პირველი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „რიონის“ დამაარსებელი, ჟურნალისტი **ბადრი კაპეტივაძე,** ადამიანის უფლებების და კანონიერების დაცვის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ქეთევან კანდელაკი,** კავშირ „იმერეთის განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი **ნოდარ ვალიშვილი** და თქვენი მონა-მორჩილი, ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარედ.

სანამ ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მონიტორინგსა და მართვაში საზოგადოების მონაწილეობის ამ ფორმას მივაგნებდით, ვფიქრობდით, მიზანშეწონილი იყო თუ არა სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა.

მიუხედავად ამ წინადადების არაერთჯერადი წარდგენისა, შედეგს ვერ მივაღწიეთ, რადგან ოფიციოზი შიშით უყურებდა ასეთ ნაბიჯს. თუმცა, ბოლოს საზოგადებრივმა აზრმა იმძლავრა და საზოგადოებრივი საბჭოც შეიქმნა.

კონტროლის საზოგადოებრივმა საბჭომ მიზნად დაისახა: **სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება და საზოგადოებრივი ზეგავლენის გაძლიერება, მართვაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა, რიგ სამსახურებში სამოქალაქო მართვის ელემენტების შემოტანა, საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება, დემოკრატიის გაღრმავება და განვითარება, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვა, ხალხის წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების აღსრულება.**

ასე, რომ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში აღმოცენებული პირველი ყლორტი ღია სამოქალაქო საზოგადოებისა — **კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო** შემდეგში იქცა სამოქალაქო მართვის მეტად მნიშვნელოვან, იმედის მომცემ და ეფექტურ ფორმად.



ჩვენი მუშაობის ძნელ გზაზე ძირითად პრობლემად მოგვევლინა სახელმწიფო ბიუროკრატია. ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურების საქალაქო და რაიონული აპარატები, განსაკუთრებით პირველი ხელმძღვანელები, ვერ ეგუებოდნენ მათ საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლს, მაგრამ საბჭოს პრინციპული, თანმიმდევრული, კომპეტენტური მუშაობით პრობლემები დავძლიეთ და დღეს კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს იცნობენ და ანგარიშს უწევენ.

სხვათა შორის, ჩვენმა საბჭომ პირველად გამოიყენა ორი სახის სიგელი **„საზოგადოებრივი პატივგებისა“** და **„საზოგადოებრივი უნდობლობის“,** რამაც მუშაობაში არაერთი საინტერესო შედეგი მოგვცა.

კონტროლის საზოგადოებრივმა საბჭომ 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში განაახლა საბჭოს რეგისტრაცია ასეთი სახელწოდებით **„საზოგადოებრივი გაერთიანება — სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადებრივი საბჭო“.**

ამჯერად, საბჭოს დამფუძნებლები არიან მეცნიერების დოქტორები, პროფესორები: **ომარ გვეტაძე, თეიმურაზ ღვინიანიძე, ომარ ზივზივაძე,** ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე **თემურ ძიძიგური** და კვლავ ამ სტრიქონების ავტორი.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის საზოგადოებრივი ცნობადობის უზრუნველყოფა ითხოვდა ეფექტური საინფორმაციო საშუალების გამოყენებას, რისი ფუფუნებაც ჩვენ არ გვქონდა.

1999 წლის აგვიტოში წინადადებით მივმართე ტელეკომპანია „რიონს“, შეგვექმნა საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი „ღია სამოქალაქო საზოგადოება“. საბედნიეროდ, ტელეკომპანიის პრეზიდენტმა ბადრი კაპეტივაძემ მაშინვე განსჭვრიტა ჩვენი წინადადების მნიშვნელობა და დაგვიჭირა მხარი. ასე შეიქმნა საქართველოში პირველი საზოგადოებრივ-სატელევიზიო კლუბი „ღია სამოქალაქო საზოგადოება“.

მოხდა წარმოუდგენელი რამ — კვირაში ერთხელ, უფასოდ, დაგვეთმო ერთი საათი საეთერო დრო. კლუბის პრეზიდენტად ამირჩიეს მე. ამავე დროს ვასრულებდი ტელეწამყვანის ფუნქციასაც.

დღემდე ეთერში გავიდა 800-მდე საავტორო-სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდა 1500-ზე მეტი რესპონდენტი. ტელეგადაცემების ვიდეოჩანაწერები დაცულია კლუბის არქივში.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა საზოგადოებრივი მისაღების შექმნას. მიღებაზე მოვიდა 3000-ზე მეტი მოქალაქე.

ვფიქრობ, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რომ პირველად საქართველოში 1999 წელს ქუთაისში შეიქმნა და დღესაც ეფექტურად გამოიყენება ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის სისტემა, ქვეყანაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის და დემოკრატიული პროცესების სრულყოფის ისეთი აქტუალური ფორმებით, როგორიცაა:

— კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო;
— საზოგადოებრივ-სატელევიზიო კლუბი;
— საზოგადოებრივი მისაღები;
— საზოგადოებრივი დარბაზი.

ღია სამოქალაქო საზოგადოების ეს პირველი ყლორტები მომავალში მეტ შინაარსსა და მნიშვნელობას შეიძენენ, რაც უთუოდ გახდება მეცნიერების, პოლიტოლოგების, პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების, მედიის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების საგანი.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს სხდომებზე ვისმენდით მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქების სამსახურების პირველ ხელმძღვანელთა საქმიანობის ანალიზს. საზოგადოებრივ-სატელევიზიო კლუბის სატელევიზიო გადაცემებში საზოგადოებას ანგარიში ჩააბარეს მერებმა, გამგებლებმა, გუბერნატორის აპარატის პასუხიმგებელმა მუშაკებმა.

ბოლო ერთ წელიწადში საბჭოს სხდომამ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის და განცხადებებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ მოისმინა ქუთაისის მერიის აპარატის უფროსის ზვიად ჯავახიას ანგარიში, სატელევიზიო ეთერით საზოგადოების ანგარიში ჩააბარეს ვიცე-გუბერნატორმა სალომე იობიძემ, პროექტების სამსახურის ხელმძღვანელმა სოსო ხახალეიშვილმა, სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ გაბიძაშვილმა, ქუთაისის ვიცე-მერებმა, კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურების ხელმძღვანელებმა.

ახლახან, ივლისში კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოს შეხვდა იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე. შეხვედრა მართლაც საქმიან ვითარებაში წარიმართა და დასახა თანამშრომლობის გზები.

მიმდინარე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისევ და ისევ საზოგადოებრივ აქტივობას, რაც ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობის საფუძვლად უნდა იქცეს. ამიტომ კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციონირებასა და აქტიურ საქმიანობაზე თვით ხელისუფლების მთელი ვერტიკალი უნდა ზრუნავდეს.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციონირების არეალია მთელი საქართველო, მაგრამ ჩვენ დღეს მხოლოდ იმერეთში ვსაქმიანობთ დაფინანსების უქონლობის გამო.

ჩემი ღრმა რწმენით, ქართველმა ბიზნესმენებმა სამოქალაქო აქტივობის წასახალისებლად გრანტები უნდა დააწესონ, რაც დიდად წაადგება ჭეშმარიტი ღია სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების საქმეს.

სამოქალაქო მონიტორინგისა და კონტროლის საბჭოს მუშაობის ეფექტურობისთვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საზოგადოების მოთხოვნა კვლავ არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!“.

არადა, ჩვენ მაინც ვიტყვით სათქმელს!

ბენია თხილავა,
კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე

◎ ზაფხული აჭარაში

ქუჩის თეატრის დღეები ბათუმში

„ჰით ბათუმი-2015“-ის ფარგლებში, ბათუმში ქუჩის თეატრის დღეები დაიწყო. ახალი კვირეული „სპარკი&ლედ დრამერებმა“ გახსნეს. მანათობელმა დრამერებმა სტარტი ბულვარის მთავარ შესასვლელთან აიღეს . კოსტიუმირებული მსვლელობა ერთ საათს გაგრძელდა და ზღვისპირა ქალაქის ბულვარში მოსეირნე ტურისტებზე შთაბეჭდილება მოახდინა.

ერთი კვირის განმავლობაში ზღვისპირა ქალაქი 5 ქართულ და 4 უცხოურ თეატრალურ დასს უმასპინძლებს. ქართველ მსახიობებთან ერთად ბათუმის ქუჩებში თეატრალურ წარმოდგენებს ესპანეთის, უნგრეთის, ბრიტანეთისა და ინდოეთის დასებიც გამართავენ.

ქუჩის თეატრის დღეების ერთ-ერთი ორგანიზატორის ეკა მაზმიშვილის განმარტებით, წარმოდგენები ბათუმის კოლონადებთან, საზაფხულო თეატრში, პიაცაზე, ბულვარსა და ძველი ბათუმის ქუჩებში გაიმართება და უფასო იქნება.

ინტერპრესი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის დამატებითი დაფინანსება

კრედიტის № 5108-GE
პროექტის № P128863

დავალების სახელწოდება: E-60 ავტომაგისტრალის რუისი-აგარა და აგარა-ზემო ოსიაურის 4-ზოლიანი მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური აუდიტი

კონტრაქტი/RFP № TEWHIP AF/CS/CQS-04
საიდენტიფიკაციო № TEWHIP AF/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის დამატებითი დაფინანსებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„E-60 ავტომაგისტრალის რუისი-აგარა და აგარა-ზემო ოსიაურის 4-ზოლიანი მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური აუდიტი".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

შერჩევის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება
- მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება (ბოლო 7 წლის განმავლობაში ავტომაგისტრალების სამშენებლო სამუშაოებისთვის ჩატარებული ტექნიკური აუდიტის დავალებები, რომლებიც დასრულდა 2008 ან მომდევნო წლებში)

ტექნიკური აუდიტის ჩატარების სავარაუდო ხანგრძლივობა 10 თვეა.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურეობებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებში – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") მოცემული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე განისაზღვრება მოკლე სია და უმაღლესი შეფასების მქონე კონსულტანტებს სთხოვენ ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 1 სექტემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third East-West Highway Improvement Project Additional Financing

Credit No. 5108-GE
Project No. P128863

Assignment Title: Technical Audit of Civil Works on E-60 highway 4-lane sections from Ruisi to Agara and from Agara to Zemo Osiauri
Contract/RFP No: TEWHIP AF/CS/CQS-04
Reference No. TEWHIP AF/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third East-West Highway Improvement Project Additional Financing** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Technical Audit of Civil Works on E-60 highway sections from Ruisi to Agara and from Agara to Zemo Osiauri".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:

- General experience;
- Similar experience (i.e. Technical Audits of Civil Works conducted for highway during last 7 years – assignments completed in and/or after 2008).

Estimated duration of assignment is 10 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultants' Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 1, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

დანართი №2

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განმეორებითი უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით უპირობო საჯარო აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფარ თობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	32427	53.11.31.060	5865	1760	587	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20221	53.11.32.083	3672	1102	368	30
ლოტი №3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	65959	53.11.31.063	12801	3841	1281	30
ლოტი №4	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	54513	53.11.31.064	10608	3183	1061	30
ლოტი №5	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	76301	53.11.31.065	14790	4437	1479	30
ლოტი №6	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	103995	53.09.32.027	19380	5814	1938	30
ლოტი №7	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	47144	53.09.34.102	8517	2556	852	30
ლოტი №8	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20272	53.09.34.103	3672	1102	368	30
ლოტი №9	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	119148	53.09.34.104	22287	6687	2229	30
ლოტი №10	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	48031	53.09.34.105	8670	2601	867	30
ლოტი №11	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	154920	53.09.34.106	28968	8691	2897	30
ლოტი №12	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	30054	53.09.32.028	5406	1622	541	30
ლოტი №13	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	22667	53.09.41.021	4080	1224	408	30
ლოტი №14	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	66784	53.09.32.029	12495	3749	1250	30
ლოტი №15	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20771	53.09.34.108	3774	1133	378	30
ლოტი №16	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო -	108058	53.09.34.109	20196	6059	2020	30
	სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი						
ლოტი №17	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	101104	53.09.34.110	18870	5661	1887	30
ლოტი №18	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	14566	53.09.34.111	2652	796	266	30
ლოტი №19	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	62449	53.09.32.030	11679	3504	1168	30
ლოტი №20	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	8131	53.02.33.134	1245	374	125	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი საჯარო მეწარმეთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 12 აგვისტოდან 2015 წლის 10 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 10 სექტემბერს დღის 15:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობის I სართულზე, ტელ: 0350-23-21-90.

გამგებელი
ალექსანდრე შათირიშვილი

◎ კალათბურთი

პირველი ეტაპი გადალახეს

საქართველოს 16 წლის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები (ნიკა ყირიმელი, ოთარ პერტაია, ნიკოლოზ მეცხვარიშვილი, ბერდია ქავთარაძე, ნიკა ჩეჩელაშვილი, ვლადიმერ ალავიძე, გოგა ბითაძე, ლევან თავხელიძე, ვახტანგ გაფრინდაშვილი, ზაურ ჯანელიძე, აკაკი ფიფია, გიორგი მამალაძე) ევროპის „ბ“ დივიზიონის პირველობაში ცდის ძალებს. ამ შეჯიბრებას ბულგარეთის დედაქალაქი სოფია მასპინძლობს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ბიჭებმა შეჯიბრება ბელგიასთან მარცხით დაიწყეს — სასტარტო შეხვედრა 46:60 (6:21, 14:13, 12:21, 14:5) დათმეს. სამაგიეროდ, მომდევნო ორთაბრძოლებში იყოჩაღეს: ჯერ შვეიცარიას მოუგეს დიდი ანგარიშით — 83:47 (29:5, 27:10, 10:17, 17:15), მერე ლუქსემბურგს აჯობეს — 77:43 (24:11, 11:12, 23:8, 19:12), მეოთხე ტურის დაძაბულ ორთაბრძოლაში უნგრეთი დაჯაბნეს — 55:51 (18:12, 12:9, 13:9, 12:21), რითაც გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი დაიკავეს და მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ამდენად, ბოლო ტურში აუტსაიდერ ბელარუსთან თამაშმა აზრი დაკარგა, მწვრთნელებმაც ძირითად მოთამაშეთა უმრავლესობა დაასვენეს, თუმცა, ქართველ კალათბურთელებს მოტივაცია მაინც არ დაუკარგავთ და სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერეს — ბელარუს თანატოლებს 85:58 (24:14, 18:5, 27:17, 16:22) სძლიეს. ჯგუფში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ბელგია — 10 (357:228), საქართველო — 9 (346:259), უნგრეთი — 8 (312:299), შვეიცარია — 8 (291:356), ლუქსემბურგი — 6 (313:379), ბელარუსი — 5 (277:375).

საქართველოს ნაკრები ბელგიასთან ერთად მეორე ეტაპზე ესტონეთსა და შვედეთს დაუპირისპირდება. ცხადია, პირველ ეტაპზე ბელგიელებთან მარცხი გუნდს მომდევნო რაუნდში გადაჰყვება. თუკი ჩვენები ორ საუკეთესოს შორის მოხვდებიან, ნახევარფინალში გავლენ და A დივიზიონის საგზურისთვის იბრძოლებენ, არადა, V-VIII ადგილებისთვის ითამაშებენ.

მეორე საეტაპო ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ესტონეთი — 2 (71:49), ბელგია — 2 (60:46), საქართველო — 1 (46:60), შვედეთი — 1 (49:71). ქართველი კალათბურთელები დღეს ესტონეთს, ხვალ კი შვედეთს შეხვდებიან.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები.

◎ კალათბურთი

ეროვნული ნაკრების შემადგენლობა 3 კანდიდატით შემცირდა

გუშინ გამთენიისას საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები სლოვენიიდან დაბრუნდა. ქართველებმა იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით კურორტ პოდჩეტრტეკის სპორტკომპლექს ტერმე ოლიმპიაში ორკვირიანი შეკრება გაიარეს და 2 სპარინგ მატჩი გამართეს. ბოსნიასთან 5 და 6 აგვისტოს ჩატარებული შეხვედრებისა და სლოვენიური შეკრების შემდეგ ნაკრების თავკაცი 3 კანდიდატს დაემშვიდობა.

ნაკრებში თავდაპირველად 18 კანდიდატი გამოიძახეს, რომლებმაც ჯერ თბილისური შეკრება გაიარეს (13-23 ივლისი), შემდეგ კი სლოვენიაში გაემგზავრნენ. სლოვენიიდან თბილისში გამომგზავრების წინ იგორ კოკოშკოვმა ის მოთამაშეები დაასახელა, რომლებიც ნაკრებს დატოვებენ: ნოდარ გოგოძე, გიგა ჯანელიძე და მიხეილ ჭოჭუა.

გოგოძე და ჯანელიძე ნაკრების ახალწვეულები არიან. გოგოძემ გასული სეზონი საქართველოს ჩემპიონატში, კლუბ „ოლიმპში“ გაატარა და ამ გუნდის რამდენიმე ხმაურიან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო, გიგა ჯანელიძე კი იტალიაში, რანგით მესამე ლიგაში თამაშობდა და ნაკრების მწვრთნელებმა მისი გამოცდა განიზრახეს. მიხეილ ჭოჭუა სტაჟიანი რუსთაველი ფორვარდია, რომელიც ნაკრებში შარშან მოხვდა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია.

ამგვარად, ეროვნულ ნაკრებში 15 კალათბურთელი დარჩა, რომელთაგან ევრობასკეტისთვის საუკეთესო 12 მოთამაშე შეირჩევა.

გუშინ ნაკრებმა დაისვენა და ხვალ ორჯერ — დილას და საღამოს სპორტის სასახლეში ივარჯიშებს. 14-16 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ესტონეთთან, იტალიასთან და ლატვიასთან ერთად თბილისის მერიის თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

გენო პეტრიაშვილი მსოფლიო რეიტინგში მესამეა

მსოფლიოს გაერთიანებული ჭიდაობის ფედერაციამ (UWW) თავისუფალი სტილით მოჭიდავეების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელიც ივლისში გამართული ტურნირების შედეგების გათვალისწინებითაა შედგენილი.

რეიტინგში შესულია ტორონტოში გამართული პანამერიკული თამაშები, ალი ალიევის ტურნირი კასპიისკში, სტეფანე სარქისიანის ტურნირი ერევანში და ვაცლავ ციალოვსკის ტურნირი ვარშავაში.

თითოეულ წონით კატეგორიაში წარმოდგენილია 20 საუკეთესო მოჭიდავე. რეიტინგში სულ 11 ქართველი მოხვდა. მათგან ყველაზე მაღალ პოზიციას ევროპის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი იკავებს, რომელიც მესამე ადგილზეა.

სტეფანე სარქისიანის ტურნირის გამარჯვებული ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57) რეიტინგში მერვეა, ევროპის თამაშების ვერცხლის პრიზიორი ბექა ლომთაძე (61) მეოთხე ადგილზე დაწინაურდა, დავით ტლაშაძე (70) მე-14-ეა.

ევროპის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ჯუმბერ ყველაშვილი (74) მე-10 ადგილზეა. ამავე წონაში ალი ალიევის ტურნირის მეორე პრიზიორი იაკობ მაქარაშვილი მე-15 პოზიციას იკავებს.

პირველად მოხვდა მსოფლიო რეიტინგში ევროპის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი სანდრო ამინაშვილი (86). ის მე-11-ე ადგილზეა.

ევროპის თამაშების ვერცხლის პრიზიორი ელიზბარ ოდიკაძე (97) მეოთხეა. ამავე წონაში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონი ომარ გუსოშვილი მე-14 ადგილს იკავებს.

მძიმე წონაში რეიტინგში სამი ქართველი შევიდა. პეტრიაშვილის გარდა, კლასიფიკაციაში დავით მოძმანაშვილი (მე-8) და გიორგი საკანდელიძეც (მე-20) მოხვდნენ.

შემდეგი მსოფლიო რეიტინგი სექტემბერში გამოქვეყნდება და მასში ლას-ვეგასში დაგეგმილი მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები იქნება ასახული.

კობა კობახიძე

◎ ნიჩბოსნობა

მსოფლიოზე — იტალიასა და საფრანგეთში

სამი ქართველი ნიჩბოსანი იასპარეზებს კანოესა (მცხეთელი ზაზა ნადირაშვილი და დუშელი მარი ქერდიკაშვილი) და კაიაკში (ბაიდარა; თბილისელი ბადრი ყაველაშვილი) სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც 20-21 აგვისტოს იტალია უმასპინძლებს. ნაკრების მთავარი მწვრთნელის — კახა ლომიშვილის ხელმძღვანელობით სპორტსმენები კანოეს საერთაშორისო ფედერაციის დაფინანსებით უკვე იტალიაში იმყოფებიან შეჯიბრებისწინა საწვრთნელ შეკრებაზე.

სიონის ბაზაზე ოსტატობას იმაღლებენ აკადემიური ნიჩბოსნები. მათ საკონტროლო ორთაბრძოლებიც გამართეს და იმ სპორტსმენთა ვინაობაც გაირკვა, რომლებიც 30 აგვისტოს საფრანგეთში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატში რიო —2016-ის საგზურებისთვის იბრძოლებენ. ესენი არიან — ერთადგილიანი ნავით ნიკოლოზ კანდელაკი, ხოლო ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით ოთარ მოთიაშვილი და ოთარ მარტოლეკი (სამივე — მცხეთა). ისინი ნაკრების მთავარი მწვრთნელის — გენადი პატარაიას ხელმძღვანელობით სიონში განაგრძობენ მზადებას.

ლაშა დიდია

◎ არდადეგი წყება

ალისა ასიტაშვილი

ეს იყო ზუსტად 65 წლის წინათ — საქართველოს კალათბურთელ გოგონათა ნაკრებმა გორკში მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოიგო. ჩვენმა სპორტსმენებმა ფინალში მოსკოვის უძლიერეს გუნდს 18 ქულის სხვაობით აჯობეს. ამ წარმატების სულისჩამდგმელი გახლდათ ალისა ასიტაშილი, რომელსაც მერეც არაერთხელ უსახელებია ქართული კალათბურთი საერთაშორისო სარბიელზე. იმავე წელიწადს მან საშუალო სკოლა დაამთავრა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი და იქაურ კალათბურთელ ქალთა გუნდის წევრი გახდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სკოლაში სწავლისას მშობლებისგან მალულად ცნობილ მწვრთნელ ბორის ტახტაროვთან ვარჯიშობდა მძლეოსნობაში. მამა, რუსთაველის თეატრის მსახიობი, სასტიკი წინააღმდეგი იყო, მის ქალიშვილს სპორტზე ევლო. ერთხელ ქალბატონმა ალისამ ასეთი ეპიზოდი მიამბო: „1947 წელს კალათბურთში თბილისის პირველობისთვის შეიქმნა რაიონული ნაკრები, რომელსაც შესანიშნავი პედაგოგი და მწვრთნელი ნანა ბეჟანოვა ხელმძღვანელობდა. მე უკვე კალათბურთში ვვარჯიშობდი, ცხადია, ისევ მალულად. დრო რომ არ მყოფნიდა, მძლეოსნობას თავი მივანებე. გოგოები წვრთნის დაწყებამდე შემომივლიდნენ, სპორტულ ფორმას მათ გავატანდი, შემდეგ კი მე მივყვებოდი. დედას არ გამოჰპარვია ჩემი ასეთი გაუჩინარება და ყველაფერი მამაჩემისთვის უთქვამს. მახსოვს, საქალაქო პირველობის ერთ-ერთ მატჩს ვთამაშობდით. მწვრთნელმა მცირე ხნით დამასვენა. ის იყო, სათადარიგოთა სკამს მივუახლოვდი, გოგოებმა მომახარეს, ძია გიორგი მოვიდაო; ტანში გამცრა. ვიცოდი, ურჩობისთვის რაც მელოდა, ამიტომ სპორტულ კოსტიუმს სასწრაფოდ დავტაცე ხელი და გასახდელისკენ ვაპირებდი გაძურწვას, რომ იქვე მამაჩემს შევეფეთე. თავი ძლივს ავწიე და სახეში შევხედე. იგი იღიმებოდა. სხივჩამდგარ თვალებში დიდი სითბო, სიყვარული და თანაგრძნობა ამოვიკითხე. აღტაცებული მოვეხვიე, ვაკოცე დ მოედნისკენ მოვკურცხლე. ამის შემდეგ ვარჯიშებზე გაპარვა აღარ დამჭირვებია. მერე ჩემს ძმას — მიშასაც შევაყვარე კალათბურთი“.

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლები ქართული ქალთა კალათბურთის აღმავლობის ხანა იყო. ჩვენმა მანდილოსნებმა საბჭოთა კავშირის ქალაქების ნაკრები გუნდების 1953 წლის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო 1955 და 1959 წლებში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ამ წარმატებებში ლომის წილი ალისა ასიტაშვილზე მოდიოდა, რომელიც 1953 წელს ივან ლისოვმა საკავშირო ნაკრებში მიიწვია. ამ დროს საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ კალათბურთის აღიარებული ოსტატები: ლიდია ალექსეევა, ნინა მაქსიმოვა, ვალენტინა კოპილოვა, ნინა მაქსიმილიანოვა, ძიდრა უსტუპე-კარამიშევა, მაია ოტსა და სხვები. ამიტომ იქ ადგილის დამკვიდრება არც ისე იოლი იყო. ალისა ასიტაშვილმა კი ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და 1954 და 1956 წლებში ბელგრადსა და პრაღაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ბუქარესტში ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში გაიმარჯვა, ბუდაპეშტში სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე მეორე ადგილი დაიკავა, 1955 წელს ვარშავაში ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრულ თამაშებზე ისევ ოქროს მედალი დაიმსახურა. მომდევნო წელს კი სახელოვან ქართველ წყალბურთელ ნოდარ გვახარიასთან ერთად სანაქებო ქართული ოჯახი შექმნა. ქმარ-შვილის მოვლა დიდ დროს და ენერგიას მოითხოვდა, ამიტომ 1960 წელს აქტიურ სპორტს თავი დაანება, თუმცა სიცოცხლის ბოლო წუთამდე მისი აქტიური ქომაგი დარჩა.

8 აგვისტოს ალისა ასიტაშვილი გარდაიცვალა და სამუდამო სასუფეველში დაიდო ბინა. მადლიერი შთამომავლობა მის სახელს არასდროს დაივიწყებს.

ვაჟა დანელია

◎ პრემიერლიგა

„სიტიმ“ დამაჯერებლად დაიწყო

ინგლისის ჩემპიონატის პირველი ტურის დასკვნითი შეხვედრა „ჰაუტორნსზე“ შედგა, სადაც ადგილობრივმა „ვესტ ბრომვიჩმა“ გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი „მანჩესტერ სიტი“ მიიღო და უშანსოდ განადგურდა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და 25-ე წუთისთვის მათ გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. მე-9 წუთზე ხესუს ნავასმა მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს მყოფ იაია ტურეს დაუგორა ბურთი, რომელმაც ძლიერად დაარტყა, ბურთი მეტოქის მცველს მოხვდა და მაიჰილის კარში შეგორდა. 24-ე წუთზე ტურეს ასისტენტობა ვინფრიდ ბონიმ გაუწია, რომელმაც თანამემამულეს ასევე საჯარიმოს მი-

სადგომებთან დაუგორა ბურთი და იაიამ შესანიშნავი დარტყმით დუბლი მიითვალა. ორ ეპიზოდში გატანა შეეძლო „ქალაქელთა“ ახალწვეულს რაჰიმ სტერლინგს, თუმცა, მასპინძელთა კიპერმა მაიჰილმა ორივე შემთხვევაში აჯობა. შეხვედრას საბოლოო წერტილი 59-ე წუთზე ვინსენტ კომპანიმ დაუსვა, რომელიც დავიდ სილვას კუთხურიდან ჩამოწოდებულს გამოეხმაურა და თავური დარტყმით „ბულბულების“ კარის ბადე მესამედ შეარხია — 0:3.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მეძავებმა თვალი „იუვენტუსს“ დაადგეს

შეიძლება, გახსოვდეთ, ამ ორი წლის წინათ, იტალიის მეძავთა პროფკავშირმა ერთ-ერთი სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი რომ შეიძინა და თავისი პატრონატის ქვეშ აიყვანა. იმის გამო, რომ ხელფასები ძალიან მწირი იყო, მეძავები ბონუსის სახით ფეხბურთელებს უფასო მომსახურებას ჰპირდებოდნენ და იყო ერთი ჯგლეთა და სადღეღამისო „პეპლაობა“.

როგორც ირკვევა, მეძავები აპენინური ფეხბურთით ახლა უფრო სერიოზულად დაინტერესდნენ. როგორც იტალიური მედია იუწყება, მეძავთა გაერთიანებას მოლაპარაკებები გაუმართავს ტურინის „იუვენტუსის“ მფლობელებთან და ფეხმსუბუქა ქალები (და, ალბათ, კაცებიც) ამ კლუბის აქციების გარკვეული პროცენტის შეძენას აპირებენ.

მრავალი წელია, ტურინულ გრანდს ევროპული თასი არ მოუპოვებია და შესაძლებელია „იუვეს“ ფეხბურთელებს ახალი სტიმული და მოტივაცია მეძავების გაუფროსებამ მისცეთ. სხვა თუ არაფერი, იმის იმედი მაინც ექნებათ, რომ მათი გატანილი გოლებით უამრავი სილიკონიანი მკერდი აზანზარდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ბარათები რუსთავიდან

რა ენა წარხდეს

მიუხედავად ზღვა საშური საქმეებისა, რასაც ქვეყანა ითხოვს ხელისუფლებისგან, მთავრობამ მოიცალა და ნაციონალების მიერ დანგრეული სახელმწიფო ენის პალატის აღდგენაზეც იზრუნა.

მიშას მთავრობამ, ნაციონალების ბანდამ, მრავალი უბედურება დაგვატეხა თავს, მაგრამ ერისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია მაინც ენის წაბილწვაა.

ქართული ენის სიწმინდისთვის შევარდნაძეც ზრუნავდა. ამ დიდ საპასუხისმგებლო საქმეს ცნობილი ფილოლოგი ლევან ღვინჯილია უძღვებოდა. ბევრი სასიკეთოც გაკეთდა, მაგრამ...

როგორ თუ ენის პალატა უნდა აღადგინოთო, ნაციონალების მთელი საბუდარი ასისინდა, პირველი, ვინც ამ საერო საქმის წინააღმდეგ გაილაშქრა, ჟანგიანი ნაციონალი, მერე და რა გვარის კაცი — ლევან თარხნიშვილი აჩხავლდა. ესაო, სახელმწიფოს ზედმეტ ტვირთად დააწვებაო, ტყუილა ფულის ხარჯვაა და ბიზნესმენებს საქმიანობაში ხელს შეუშლისო. თარხნიშვილი ისეთივე ქართველია, როგორიც მე ზანზიბარელი...

ერთხელაც მზე რომ არ ამოვიდეს და დღევანდელმა ხელისუფლებამ რაღაც სასწაულით ამოაბრწყინოს, ეს ბოღმიანები, თუ შეძლებენ, ისევ უკან ჩათხრიან უფსკრულში. ოღონდ ოცნებელებს რამე ავნონ, ოღონდ ოცნებელებს კი არა, ქართველობას, და საკუთარ თვალებსაც დაითხრიან.

ისე, მე თუ მკითხავთ, ამათ აღარც თვალები შერჩათ და აღარც ტვინი, ჰოდა, ბოლოს მაინც ჩვენი დასამარხი იქნებიან.

რაც ხსოვნას შემორჩა

ახლახან ტელევიზიის პირველ არხზე სოლიდური გადაცემა გავიდა. აჩვენეს 2006 წელს გადაღებული ფილმი ცნობილ ქართველ პოეტ კოლაუ ნადირაძის მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებაზე.

შიგა და შიგ ხაზგასმული იყო დიდი გალაკტიონისა და ამ მეტად ორიგინალური პოეტის კოლაუს ურთიერთობა, რასაც ერთგვარი ინტრიგაც ახლდა თან.

მე ღმერთმა მომანიჭა ბედნიერება და გალაკტიონსაც ბევრჯერ შევხვედრივარ და კოლაუ ნადირაძესაც.

გალაკტიონის სიდიადეს, მის სიმაღლეს, მწერვალთმპყრობელობას მაშინაც ბევრი აღიარებდა, ოღონდ ყველა არა.

იმ ხანად ირაკლი აბაშიძე გვყავდა მოწვეული რუსთავის თეატრის შენობაში. სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, იქვე კიბეებთან ვსაუბრობდით, მეც, რაღაც ინტრიგასავით შემიჩნდა, მაწვალებდა ეს უცნაური კითხვა და პირდაპირ დავუსვი პოეტებს შორის თვითონაც გამორჩეულს.

ბატონი ირაკლი არც კი შეყოყმანებულა, ისე ზემოდან გადმომხედა:



— აი, ახლა, ჩვენ რომ ვდგევართ, აქ გალაკტიონი, ხოლო დანარჩენი ყველა 14-15 სართულით დაბლა, ასეთია რეალობა.

ამ გულწრფელმა აღიარებამ ყველა გაგვაოცა. შევეცადეთ, ძვირფასი სტუმრისთვის გვესიამოვნებინა, მაგრამ მან გაიღიმა, დრო გამოაჩენსო.

რა თქმა უნდა, ასეთი შეკითხვის კოლაუსთან გაჟღერება ჩემი შეცდომა იყო და კინაღამ დავისაჯე.

კარპე მუმლაძემ, რუსთაველ მწერალთა გაერთიანების თავკაცმა, მორიგ სტუმრებად კოლაუ ნადირაძე და კარლო კალაძე მოიწვია, ცნობილ მწერლებთან, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები ლამაზ ტრადიციად დაგვიმკვიდრა ბატონმა კარპემ, მას სტუმარ-მასპინძლობის დიდი ნიჭი და უნარი ჰქონდა.

როგორც ყოველთვის, ხალხმრავალ დარბაზში შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, კარლო კალაძე გამორჩეული იყო იუმორით, საინტერესო ლექსებიც წაგვიკითხა, აი, კოლაუს მიმართ დამოკიდებულება ოდნავ სხვაგვარი იყო, მას ხელისუფლება არ წყალობდა, ამდენადაც მისი შემოქმედება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

საღამოს შემდეგ კარპემ ძვირფასი სტუმრები კოლაუ და კარლო, მათთან ერთად მეც, რესტორანში მიგვიწვია. სუფრასთან უფრო საინტერესო საუბარი გაიმართა. ეს ბუნებრივიც გახლდათ, კარპე მათთან ძალიან ახლოს იყო.

და აქ დავუშვი უნებლიე შეცდომა. წინა დღით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყენდა ცნობილი კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას ნახატი: **გალაკტიონი დგას მწვერვალზე, ძირს კი შესევია მწერალთა ლაშქარი, მაღლა მიფორთხავენ.**

„გიჭირთ, ძამიკო, გიჭირთ?“ — კარიკატურას გალაკტიონისეული ინტონაციის თანმხლები წარწერა ახლდა.

სულ ეგ იყო, მაგრამ საზოგადოებამ ეს კარიკატურა დიდი მოწონებით მიიღო, ახლა სუფრასთან მეც სულმა წამძლია და ხომ მაგარი კარიკატურა იყო-მეთქი. თქმა და კოლაუ ნადირაძის აფეთქება ერთი იყო.

— ვინაა ეგ ფირცხალავა, ან გალაკტიონი რითია სხვებზე მეტიო.

კარლოს მსუბუქმა იუმორმა, კარპეს შექებამ, თქვენ განსაკუთრებული პოეტი ხართო, სიტუაცია კი განმუხტა, მაგრამ მას შემდეგ კოლაუ ნადირაძესთან შეხვედრას გავურბოდი.

სამაგიეროდ, როგორც კი გამოვიდა მისი ლექსების არც თუ სქელტანიანი კრებული, რაც იშვიათობა იყო იმ დროს, უმალ შევიძინე და დღესაც დიდი სიყვარულით ვეფერები მის მართლა შესანიშნავ ლექსებს.

რა თქმა უნდა, გალაკტიონის ხუთტომეულიდან ერთ-ერთი ყოველთვის სასთუმალთან მიდევს...

მარტო რუსთავი დაამშვენებდა მის სახელს

„საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ივლისის ნომერში სათაურით „სტალინმა ჰომოსექსუალიზმი და აბორტი კანონით აკრძალა 1933 წელს“, გამოქვეყნებულია ათი საინტერესო ფაქტი სტალინის შესახებ.

მე ამ წერილის მეექვსე პუნქტმა მატკინა გული. ავტორი ამბობს, რომ სტალინის დროს საქართველოში შეიქმნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ზაჰესი, რიონჰესი. კიდევ რაღაც რაღაცები. არადა, სტალინმა შექმნა მეოცე საუკუნის უბრწყინვალესი ქალაქი, საბჭოთა კავშირშიც კი გამორჩეული ინდუსტრიული რუსთავი, ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სრული მეტალურგიული ციკლის კომბინატით.

სტალინმა რუსთავის მშენებლობაზე ჯერ კიდევ მრისხანე ომის წლებში, 1943 წელს დაიწყო ფიქრი. ამ მიზნით მან თავისთან მიიწვია საქართველოს მაშინდელი კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი და დიდი ქართველი მეტალურგი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი. რომელიც იმ ხანად ციმბირის ერთ-ერთი მეტალურგი-

ული ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მოკლედ ვიტყვი, ჩარკვიანს ქარხნის აშენება თბილისში, დღევანდელ საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე უნდოდა, სტალინმა რუსთავზე მიუთითა (იმ ხანად რუსთავის შესახებ ძალიან ცოტა ვინმემ თუ უწყოდა, არადა, ეს ტერიტორია, გარდაბანი და კიდევ სხვა საძოვრები ჯერ კიდევ მენშევიკების მთავრობას ასი წლის იჯარით ჰქონდა გაცემული აზერბაიჯანელი მეცხვარეებისათვის).

ქარხნის მშენებლობა 1944 წლის შემოდგომით დაიწყო, პარალელურად ქალაქსაც ჩაეყარა საფუძველი.

იმავე წელს ომში გასაგზავნად მობილიზებული 5 ათასი ქართველი ვაჟკაცი, სტალინის ბრძანებით რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში გაიგზავნა პროფესიების დასაუფლებლად.

რუსთავის აშენებამდე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ცალკეული ფაკულტეტების, ასევე ბევრი სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები ყოფილი საბჭოთა კავშირის უკიდეგანო სივრცეებში იფანტებოდნენ.

ნაქალაქარზე, ჯაგნარზე, უდაბნოდ ქცეულზე, თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქის აშენება, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა სტალინს, მარტო ეს შეამკობდა მის სახელს.

გივი ჯახუა,

დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი.

◎ კრიმინალი

ფონიჭალაში ორი პოლიციელი დაჭრეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ფონიჭალაში ნარკოდანაშაულის გამოვლენის მიზნით ოპერატიულ ღონისძიებას ატარებდნენ, რა დროსაც ისინი დაჭრეს.

მათივე ინფორმაციით, პირი, რომელმაც პოლიციელებს ესროლა, ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი ერთი პოლიციელი უკვე გაეწერა საავადმყოფოდან, მეორეს კი ოპერაცია ჩაუტარდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მიმდინარეობს დამნაშავის დასაკავებელი ღონისძიებები.

ზემო ალვანელი მოძალადე დაკავებულია

შსს-ს ახმეტის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება სოფელ ზემო ალვანში, ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ. შემთხვევის ადგილზე გასულ პოლიციელებს, მოქალაქე ელიზბარ პ-მ ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც ერთ-ერთი სამართალდამცველი თავისა და გულმკერდის არეში დაიჭრა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურმა ის საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა.

ჩატარებული ოპერაციის შედეგად თავდამსხმელი დაკავებულია.

მეუღლე ნარგიზა კეპულაძე, შვილი ეკა, სიძე თამაზ მდივანი, შვილიშვილები გიორგი, ნინო, დები ნანა, თამილა, ძმა ბათუ, სიძეები თემურ შენგელია, ვახტანგ შენგელია, ცოლისდები ლუარა, შოზეტა კეპულაძეები, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან

მიხეილ სულაქველიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 13 VIII, 14 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, 35 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1968 წლის 826 ჯგუფის კურსდამთავრებულები დიდი გულისტკივილით იუწყებიან თანაკურსელის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

მიხეილ სულაქველიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

ყველაზე ძვირად ღირებული შოპინგ-ქუჩები

ზაფხული შესანიშნავი პერიოდია დასვენებისა და შოპინგისთვის. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სპეციალური ქუჩები, სადაც მხოლოდ ცნობილი ბრენდების მაღაზიებია განთავსებულია. გთავაზობთ ყველაზე „მოდური ქუჩების“ ჩამონათვალს.

ჰონგ კონგი

ლან კვაი ფონგის რაიონი ჰონგ კონგში ყველაზე ძვირად ღირებული ქუჩაა. ამ ქუჩაზე სავაჭრო ფართობის დაქირავების შემთხვევაში, წელიწადში კვადრატული მეტრის სანაცვლოდ 41 548 დოლარს გადაიხდით. ლან კვაინ ფონგზე მაღაზიები ძირითადად მხოლოდ ისეთ ცნობილ ბრენდებს აქვთ, როგორებიც ლუი ვუტონი, გუჩი და არმანი არიან.

ნიუ იორკი

მსოფლიოს მთავარი მოდის სახლები ნიუ იორკში მე-5 ავენიუზე, მედისონ ავენიუსა და 57-ე ქუჩაზე არიან წარმოდგენილი. ნიუ იორკში მოგზაურობისას სწორედ ამ ქუჩებზე შეგიძლიათ აღმოჩინოთ თქვენი საყვარელი ბრენდების მაღაზიები.

სიდნეი

სიდნეიში ყველაზე ძვირად ღირებულ მოდურ ქუჩად Pitt Street ითვლება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წლიურად ერთი კვადრატული მეტრი ფართის დაქირავება დაახლოებით 12 ათასი დოლარი ღირს, არამედ იმიტომაც, რომ აქ განთავსებულია ისეთი ბრენდები, როგორებიც Bottega Leneta, Christian Louboutin და Diane von Furstenberg არიან.

ტოკიო

თუ ტოკიოში ჩასვლისას შოპინგს გადაწყვეტთ, უმჯობესია პირდაპირ ჰინზას რაიონში გაეშუროთ, სადაც გუშიც, არმანის, ტიფანის, კელვინ კლაინისა და რალფ ლოურენის მაღაზიებს აღმოაჩენთ.

ჰინზას რაიონში წელიწადში კვადრატული მეტრი ფართის დაქირავება 11 ათასი დოლარი ღირს.

ლონდონი

ლონდონში, რომელიც მოდის ერთ-ერთი მთავარი „დედაქალაქი“, მოდის მიმდევართა და ფასდაკლების მოყვარულთა საყვარელი ადგილია, უამრავი ქუჩაა, სადაც ყველა ცნობილი ბრენდისა თუ ნაკლებად ცნობილი ბრენდის მაღაზიას აღმოაჩენთ. შოპინგის მოყვარულებს შეუძლიათ ესტუმრონ ბონდ სტრიტს, უესტფილდ ლონდონს, ოქსფორდ სტრიტს და სხვა ქუჩებს.

პარიზი

მოდის მსოფლიო დედაქალაქის შოპინგ-ქუჩებზე ერთი კვადრატული მეტრი ფართის ღირებულება წელიწადში 8 ათასი დოლარია. ძვირად ღირებული შოპინგის მოყვარულები უნდა ეწვიოთ Rue Etienne Marcel Place des Victories ქუჩებს, სადაც წარმოდგენილია ისეთი ბრენდები, როგორებიც Cartier, Celine, Chanel, Christian Dior, Christian Lacroix და Yves Saint Laurent არიან.

მოსკოვი

ჩამონათვალში ასევე მოხვდა მოსკოვი, სადაც ერთი კვადრატული მეტრი ფართობის დაქირავება იგივე ფასია, რაც პარიზში. ტრეტიაკოვის გასასვლელში ბრენდებს ბუტიკისთვის ფართობის დაქირავება წლიურად 8 ათასი დოლარი უჯდებათ ერთი კვ.მეტრი

შეკრიბა
სულხან მოდებაძემ

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ცხადია, რომ ნებისმიერ ორ იურიდიულ სუბიექტს შორის არსებული დავა სასამართლოს მეშვეობით უნდა გადაწყდეს და იმედი მაქვს, რომ ქიბარ ხალვაშსა და რუსთავი 2-ს შორის არსებული ფინანსური საკითხი მოგვარდება, მაგრამ როგორ უნდა გადაიჭრას საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა? ტელეკომპანიის, რომელსაც ჩვენ, გადასახადის გადამხდელები ვაფინანსებთ და ჩვენს მიერ დაფინანსებული ძირითადად ნაციონალური „ბორდი“ და შემოქმედებითი კოლექტივი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს?

● დაყადაღებულ ნანუკა ჟორჟოლიანს და მაიკო ასათიანს აუქციონზე გაიტანენ?

● მშენებლობაზე რომ მივიდე და იქ ყველას ხელი შევუშალო, ცემენტში და ქვიშაში ჩავაფსა, ამწეს ბოლტები დავაძრო, ორკასეტიანი მაგნიტოფონი მივიტანო და რამშტაინი, ან ბიჯიზები ჩავრთო ბოლო ხმაზე, ხომ დამიჭერენ?

ეს დედააფეთქებული, დღედაღამ ხმაური რომ შემოდის, მტვერით რომაა ჩემი სახლი სავსე, უზარმაზარი მანქანები რომ დახრიგინებენ ამ ვიწრო ქუჩაზე, მაგათ პასუხი არ მოეთხოვებათ?

● რომ მეგონენ, იმაზე უარესი პრასტიტუტკები აღმოჩნდნენ თავისუფალი დემოკრატები.

ლეიბორისტებსაც გადაუჯოკრეს უკვე!

● თვალი (უკვე მეორედ) მოვკარი იმას, რომ „მთავარი პროკურორის პოსტს, თამარ კორძაია უმიზნებს“. მსგავს ხუმრობას, უკვე რამდენჯერმე რომ არ აგვცხადებოდა, უკბილო ანეკდოტის ამბავში გაატარებდა კაცი, მაგრამ...

ერთი სიტყვით, მანუგეშეთ ვინმემ...

● ვისაც არ ვეკითხები ალექსანდრე როზემბაუმის სიმღერები მოგწონთ-მეთქი? ყველა მპასუხობს „აუუ, როზემბაუმი ძაან მაგარიაო“ და აბა როზემბაუმი თუ მოგწონთ შუფუტინსკიმ რაღა დაგიშავათ, ყველაა, რასაც შუფუტინსკი მღერის როზემბაუმისაა და რა, გვარი არ გევასებათ? შუფუტინსკი!

● მოკლედ, იმდენი ველაპარაკე ახლა ორ იეღოველს ჭეშმარიტ ღმერთზე რო, სულ პირჯვრისწერით და „უფალო შეგვიწყალეს“ ძახილით გაიქცნენ....

● საბაზრო ეკონომიკის მობილურის ნომერი თუ გაქვთ მომწერეთ, სერიოზული საბაზრო მაქვს, რამსები აქვს მაგას მაგრად არეული, მოკლედ აქ საბაზრო არ არის, სხვა ბაზარია, არ გამიბაზროთ!!!

● ხომ თქვა კარბელაშვილმა არ დამჭერის დედა...ო! ხოდა მეც გეუბნებით არ დამჭერის დედა...ან!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ეძიმო ტემპერატურა +40 მაქვს. ეს კარგია?

— აბა, რა გითხრათ, კარგი ისაა, რომ პლუსია და არა მინუსი...

* * *

— ძვირფასო, ჩემი თავი ხომ ჭეშმარიტად უფალმა მოგივლინა?

— რა თქმა უნდა, ჩემო მაშო, ოღონდ ერთი ვერ გამიგია, რა ცოდვებისთვის?

* * *

მარო ეკითხება მიხოს:

— მოხვალ ჩემს ქორწილში?

— მოვალ, რატომაც არა.

— ძალიან კარგი. ესე იგი საქმროს პრობლემა გადაწყვეტილა!...

* * *

— რაიმ, ბიჭო, ჭიჭიკია, ორი ნეკი თაბაშირში რომ ჩაგისვამს?

— მევიტეხე!

— ორივე ერთად, შე კაცო, რაფერ მოახერხე?

— რავა და დავაცხინკვე!

* * *

— ჩემო ძვირფასო, ერთი მხრივ შენ ძალიან ლამაზი ხარ!

— მეორე მხრივ?

— მეორე მხრივ კი კეფა გაქვს!

* * *

ასტრონომებმა კოსმოსში წითელ-ყვითელ-მწვანე-ნარინჯისფერი ხვრელი აღმოაჩინეს. იგი ისეთივე იდუმალი და სახიფათოა, როგორც შავი ხვრელი, თუმცა კი საცქერად გაცილებით უფრო საამოა.

* * *

ლეონიდ ბრეჟნევი კრემლის დერეფნით მოდის, უცბად ორი კომკავშირელი ქალიშვილი მივარდება:

— უკაცრავად, იქნებ გვითხრათ, ვინ ბრძანდებით?

— მე ლეონიდ ბრეჟნევი ვარ!

— აი, ხომ გეუბნებოდი, სულელო, ეს ვიღაც ბრიყვია, შენ კიდევ აიჩემე — ჯიგარხანიანია, ჯიგარხანიანიო!..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე